საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		3,632	4,581
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო საკუთრების შეძენა		(511)	(710)
შემოსულობა საინვესტიციო საკუთრების გაყიდვიდან		-	647
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(511)	(63)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა-ძირითადი თანხა	17	(2,955)	(4,717)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(2,955)	(4,717)
წმინდა ზრდა/(კლება) ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		166	(199)
ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(194)	583
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს		1,773	1,389
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	14	1,745	1,773

ხელმძღვანელობის სახელით:

მალიკ ტულეკოვი
ფინანსური დირექტორი
2024 წლის 8 ნოემბერი
თბილისი, საქართველო

კუანიშ ქოლბარის
გენერალური დირექტორი
2024 წლის 8 ნოემბერი
თბილისი, საქართველო

9-38 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1. შპს რომპეტროლ საქართველო და მისი საქმიანობა

შპს რომპეტროლ საქართველო (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და დაარსდა 2005 წლის 5 დეკემბერს საიდენტიფიკაციო ნომრით N204493002. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია თბილისი, საქართველო, გამრეკელის ქ. 19. კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს საქართველო, თბილისი 0171, მ. ალექსიძის #12, მეფე დავითის ბიზნეს ცენტრი, მე-4 სართული.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საწვავის იმპორტი, საბითუმო და საცალო ვაჭრობა ბენზინგასამართი სადგურებისა და სასაწყობო ბაზების ქსელის მეშვეობით საქართველოს მასშტაბით. საცალო ქსელი შედგება 71 ბენზინგასამართი სადგურისგან (2022: 71 ბენზინგასამართი სადგური), ქვეყნის მასშტაბით, რომელთა უმრავლესობა - 58 სადგური (2022: 66 ბენზინგასამართი სადგური) არის დაქირავებული მესამე მხარისგან და ფუნქციონირებს „რომპეტროლი“-ს სამარკო ნიშნით.

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის უშუალო მშობელი იყო KMG International N.V. (შემდგომში „მშობელი კომპანია“), რომელსაც საბოლოოდ აკონტროლებდა სს სუვერენული კეთილდღეობის ფონდი „Samruk-Kazyna“ (100% ყაზახეთის რესპუბლიკის მთავრობის საკუთრება), რომელიც აწარმოებს ფინანსურ ანგარიშგებას, რაც ხელმისაწვდომია საჯარო გამოყენებისთვის.

კომპანიის შესყიდვების უმეტესი ნაწილი ხდება ჯგუფის სხვა საწარმოებისგან, ხოლო სავაჭრო მოთხოვნები ამ საწარმოების მიმართ არის, ეს არის საწარმოები, რომლებსაც ხელმძღვანელობს KMG International N.V. (შემდგომში „აქციონერთა ჯგუფი“). შედეგად, კომპანია ეკონომიკურად დამოკიდებულია აქციონერთა ჯგუფზე. გარდა ამისა, კომპანიის საქმიანობა მჭიდროდ არის დაკავშირებული აქციონერთა ჯგუფის მოთხოვნებთან და კომპანიის საფასო პოლიტიკის განსაზღვრა ხორციელდება აქციონერთა ჯგუფთან ერთად. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან დეტალურად აღწერილია 21-ე შენიშვნაში.

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება ხშირ ცვლილებებსა და არაერთგვაროვან ინტერპრეტაციებს. საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

ომი რუსეთსა და უკრაინას შორის. 2022 წლის 24 თებერვალს, რუსეთ-უკრაინის საზღვართან რუსული სამხედრო ძალების მნიშვნელოვანი გაძლიერების შემდეგ, რუსმა ჯარებმა გადაკვეთეს უკრაინის საზღვარი. საერთაშორისოდ მიჩნეული როგორც ომი, ეს შეჭრა არის ყველაზე დიდი სამხედრო თავდასხმა ევროპულ სახელმწიფოზე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ამ ომმა ევროპაში ყველაზე დიდი ლტოლვილთა კრიზისი გამოიწვია, მილიონობით უკრაინელმა დატოვა ქვეყანა და სახლები. უკრაინაში ომის შედეგად, ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა გაერთიანებამ გამოაცხადა მკაცრი ეკონომიკური სანქციები რუსეთზე და უამრავმა კომპანიამ გაიტანა თავისი ბიზნესი რუსეთიდან და ბელარუსიდან. სიტუაცია ჯერ კიდევ ვითარდება, მაგრამ მას უკვე მოჰყვა ჰუმანიტარული კრიზისი და არსებითი ეკონომიკური ზარალი უკრაინის, რუსეთისა და დანარჩენი მსოფლიოსთვის.

იმის გამო, რომ ომი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, შეუძლებელია საიმედოდ შეფასდეს სრული გავლენა, რომელიც მას შეიძლება ჰქონდეს კომპანიაზე, რადგან არსებობს გაურკვეველობა ზოგადად ეკონომიკაზე ზემოქმედების მასშტაბის შესახებ.

2023 წელს საქართველოს ეკონომიკამ დადებითი ეკონომიკური დინამიკა აჩვენა. ამ ტენდენციას ასევე მხარი დაუჭირა უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიგრაციამ, რამაც გამოიწვია პროდუქციაზე და მომსახურებაზე მეტი მოთხოვნა. ამის მიუხედავად, 2023 წელს ინფლაციამ 2.5% შეადგინა, რაც საქართველოს ეროვნული ბანკის მიზნობრივ ფარგლებშია.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება იწინასწარმეტყველოს მოვლენების ყველა ის განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შედეგობრივად რა გავლენა, ასეთი არსებობის შემთხვევაში, შეიძლება ჰქონდეს მათ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის იღებს ყველა საჭირო ზომას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდაჭერისთვის.

3. სააღრიცხვო პოლიტიკები

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (ფასს) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, პირვანდელი ღირებულების კონვენციის საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენება ყველა წარმოდგენილ პერიოდში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. იხილეთ მე-5 შენიშვნა.

ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ის ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენებას კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარებისას. საკითხები, რომლებიც მოიცავს უფრო მაღალი დონის ან სირთულის განსჯას, ან, შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, განმარტებულია მე-4 შენიშვნაში.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. კომპანიის სამუშაო ვალუტა არის შეერთებული შტატების დოლარი („\$“ ან „აშშ დოლარი“) შემდეგი მიზეზების გამო:

- კომპანია წარმოადგენს მშობელი კომპანიის განუყოფელ უცხოურ ქვედანაყოფს, რაც წარმოადგენს მისი საქმიანობის გაფართოებას მშობელი კომპანიისგან განსხვავებულ გარემოში; კომპანია მნიშვნელოვნად არის ურთიერთდაკავშირებული მშობელთან და ისინი მუშაობენ როგორც ერთი ბიზნესი, და არა როგორც დამოუკიდებელი ბიზნესები;
- მარაგების უმეტესი ნაწილის შეძენა ხდება მშობელი კომპანიისგან, ხოლო ფასები განისაზღვრება აშშ დოლარის გაცვლითი კურსის გათვალისწინებით. შეძენის ღირებულება ადგილობრივ ბაზარზე გაყიდვის ფასის მთავარი მამოძრავებელია.
- მეორადი მაჩვენებლები დამატებით მხარს უჭერენ აშშ დოლარის კომპანიის სამუშაო ვალუტად განსაზღვრას, რადგან საფინანსო ოპერაციების უმეტესობა დენომინირებულია აშშ დოლარში.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია აშშ დოლარში. აშშ დოლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ძირითადი საშუალებები. აღიარება და შეფასება. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის ან დაგროვილი გაუფასურების ზარალით.

თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივის თვითღირებულება შედგება მასალების, შრომითი და ნებისმიერი პირდაპირი დანახარჯებისგან, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობაში მოსაყვანად, აგრეთვე ნასესხები სახსრების ღირებულების კაპიტალიზაციის, მუხლების დემონტაჟის, მოხსნისა და ადგილმდებარეობის აღდგენის ღირებულებას. შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აღჭურვილობის ფუნქციონალურად განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, კაპიტალიზდება აღჭურვილობის ღირებულების ნაწილის სახით.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების მნიშვნელოვან ნაწილებს განსხვავებული მომსახურების ვადები აქვთ, ისინი აღირიცხება როგორც ძირითადი საშუალების ცალკე მუხლები (ძირითადი კომპონენტები).

ძირითადი საშუალებებზე ყველა დამატება თავდაპირველად აღირიცხება როგორც დაუმთავრებელი მშენებლობა და შემდგომ გადაკლასიფიცირდება შესაბამისი ძირითადი საშუალებების კატეგორიებში.

ძირითადი საშუალებების მუხლის გასვლიდან მიღებული შემოსულობები და ზარალი განისაზღვრება გასვლიდან მიღებული შემოსულობის ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აღიარდება წმინდად, მოგებაში ან ზარალში, სხვა შემოსულობაში/ სხვა ხარჯებში.

შემდგომი დანახარჯები. ძირითადი საშუალების მუხლის ჩანაცვლების ხარჯი აღიარდება მუხლის საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ მასში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოედინება, და მისი ღირებულების სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია. გამოცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მომსახურების ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ცვეთა. ძირითადი საშუალებები ექვემდებარებიან ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და მზა მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ან კომპანიის შიგნით შექმნილი აქტივებისთვის, იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი დასრულებდა და გამოსაყენებლად მზად იქნება. ცვეთა ეფუძნება აქტივის თვითღირებულებას, რომელიც შემცირებულია მისი ნარჩენი ღირებულებით. ინდივიდუალური აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა აქვს, მისი ცვეთა განცალკევებით ხორციელდება.

ცვეთა აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით ძირითადი საშუალების მუხლის თითოეული ნაწილის შეფასებულ სასარგებლო მომსახურების ვადაზე, რადგან ეს მეთოდი საუკეთესოდ ასახავს აქტივის გამოყენების შედეგად მისაღები მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელ ფორმას. იჯარით აღებულ აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება იჯარის ვადასა და მათ სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უმცირესით, გარდა შემთხვევებისა როდესაც გონივრულად მოსალოდნელია, რომ კომპანია იჯარის ვადის ბოლოსთვის მიიღებს საკუთრების უფლებას. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი მუხლების შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები მიმდინარე პერიოდისთვის, შემდეგია:

შენობები და სხვა ნაგებობები	სასარგებლო მომსახურების ვადები
მანქანა-დანადგარები და სავაჭრო	5-დან 50 წლამდე
აღჭურვილობა	2-დან 39 წლამდე
საიჯარო გაუმჯობესება	სასარგებლო მომსახურების ვადასა (2-დან 16 წლამდე) და საიჯარო
საოფისე აღჭურვილობა	ვადას შორის უმცირესი
ავტომობილები	2-დან 24 წლამდე
	5-დან 15 წლამდე

ცვეთის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები გადაიხედება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის და საჭიროებისამებრ კორექტირდება.

მარაგები. მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება ეფუძნება საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენისას გაწეულ ხარჯებს, მათ შორის საქონლის შესყიდვაზე აქციზის გადასახადს და სხვა დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მარაგების მოცემულ ლოკაციასა (საბითუმო გაყიდვებისთვის - საწყობის ბაზა და საცალო გაყიდვებისთვის - ბენზინგასამართი სადგურები) და მდგომარეობაში მიყვანისას. მარაგების თვითღირებულება არ მოიცავს ბენზინგასამართი სადგურების ცვეთას (მათ შორის აქტივების გამოყენების უფლებას) და ძირითადი საშუალებების ცვეთას, ასევე თანამშრომლების ხელფასისა და სარგებლის ხარჯებს, რადგან ეს ხარჯები გაწეულია ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის, ან კომპანიის სადისტრიბუციო ქსელის მუშაობისთვის, ანუ ბენზინგასამართი სადგურების მუშაობისთვის.

რეალიზაციის თვითღირებულება, პერიოდის განმავლობაში ხარჯის სახით აღიარებული მარაგების ოდენობა, შედგება ხარჯებისგან, რომლებიც ადრე მარაგების შეფასებაში იყო შეტანილი. საქმიანობის ჩვეულებრივად მიმდინარეობის პირობებში, წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მოსალოდნელ სარეალიზაციო ღირებულებას, გამოკლებული შეფასებული დასრულების და გაყიდვის ხარჯები.

ფინანსური ინსტრუმენტები აღიარება და საწყისი შეფასება. სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება მათი წარმოქმნის დროს. ყველა სხვა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანია ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მხარე.

ფინანსური აქტივი (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის წარმოადგენს სავაჭრო მოთხოვნას მნიშვნელოვანი საფინანსო კომპონენტის გარეშე) ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, რომელსაც ემატება (თუ აქტივი არ არის რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული) (FVTPL), გარიგების ხარჯები, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული მის შესყიდვასთან ან გამოშვებასთან. სავაჭრო მოთხოვნა მნიშვნელოვანი საფინანსო კომპონენტის გარეშე თავდაპირველად ფასდება გარიგების ფასით.

ფინანსური აქტივები - ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება. თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება ისევე როგორც შეფასებული: ამორტიზებული ღირებულებით; რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI) - ინვესტიცია სავალო ინსტრუმენტებში; რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI) - ინვესტიცია წილობრივ ინსტრუმენტებში; ან რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL).

პირველადი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები არ ექვემდებარება რეკლასიფიკაციას, მანამ სანამ კომპანია არ შეცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელს, რა შემთხვევაშიც ყველა ჩართული ფინანსური აქტივი რეკლასიფიცირებულია ბიზნეს მოდელის ცვლილების შემდგომ პირველი საანგარიშგებო პერიოდის პირველივე დღეს.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ორივე პირობას და არ არის გამიზნული, როგორც რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს, რომლის მიზანიც არის აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითად თანხაზე დაგროვილი დაუფარავი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.
- სავალო ინვესტიცია შეფასდება FVOCI-თ, თუ იგი აკმაყოფილებს ორივე ქვემოთ მოცემულ პირობას და არ კლასიფიცირდება როგორც FVTPL-თ შეფასებული:
- ის განეკუთვნება ბიზნეს მოდელს, რომლის მიზანი მიიღწევა როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღებით, ასევე ფინანსური აქტივების გაყიდვით; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითად თანხაზე დაგროვილი დაუფარავი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ კლასიფიცირდება ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღირიცხება რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანიას შეუქცევადი არჩევანის უფლება აქვს, ფინანსური აქტივი, რომელიც სხვაგვარად აკმაყოფილებს ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასების კრიტერიუმებს, შეაფასოს რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით თუ ამგვარი კლასიფიკაცია მთლიანად აღმოფხვრის, ან მნიშვნელოვნად ამცირებს სააღრიცხვო შეუსაბამოებს, რომლებიც სხვაგვარად წარმოიქმნებოდა.

კომპანიის ფინანსური აქტივები მოიცავს ფინანსური აქტივების შემდეგ კატეგორიებს: სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (შენიშვნა 13) და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (შენიშვნა 14), რომლებიც ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები შემდგომ შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. ამორტიზებული ღირებულება შემცირებულია გაუფასურების ზარალით. საპროცენტო შემოსავალი, საკურსო სხვაობით განპირობებული ამონაგები და ზარალი და გაუფასურება აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ამონაგები ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებს, რომელთა დაფარვის ვადა არის სამი თვე ან ნაკლები შეძენის თარიღიდან. მათი რეალური ღირებულების ცვლილების რისკი არ არის არსებითი.

ფინანსური ვალდებულებები - კლასიფიკაცია, შემდგომი შეფასება და შემოსულობა და ზარალი. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება ისევე როგორც ფასდება - ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით თუ ის არის სავაჭროდ გამიზნული, წარმოებული ან გამიზნულია ასეთად პირველადი აღიარებისას. რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები ფასდება რეალური ღირებულებით და წმინდა შემოსულობით და ზარალით, ნებისმიერი საპროცენტო ხარჯის ჩათვლით, და აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. სხვა ფინანსური ვალდებულებები შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი და საკურსო სხვაობით განპირობებული

შემოსულობები და ზარალები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი ასევე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების მოდიფიცირება -ფინანსური აქტივები. თუ ფინანსური აქტივის პირობები მოდიფიცირებულია, კომპანიამ უნდა შეაფასოს არსებითად იცვლება თუ არა მოდიფიცირებული აქტივისგან წარმოშობილი ფულადი ნაკადები. თუ ფულად ნაკადებში არსებითი ცვლილებაა (ეგრეთ წოდებული „არსებითი მოდიფიცირება“), მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოქმნილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შემთხვევაში, თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარება წყდება და ახალი ფინანსური აქტივი აღიარდება რეალური ღირებულებით.

კომპანია ახორციელებს მოცემული მოდიფიცირების არსებითობის რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებას, ანუ არსებითად განსხვავდება თუ არა საწყისი ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადები მოდიფიცირებული ან ჩანაცვლებული ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადებისგან. კომპანია აფასებს არსებითია თუ არა მოდიფიცირება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, მოცემული თანმიმდევრობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე, ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. თუ ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავდება, მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოქმნილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შეფასების გაკეთების დროს კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის დროს გამოყენებული პრინციპების ანალოგიური პრინციპებით ხელმძღვანელობს.

კომპანია ასკვნის, რომ მოდიფიცირება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ცვლილება ფინანსური აქტივის ვალუტაში;
- უზრუნველყოფის ან საკრედიტო გაუჯობესების ცვლილება;
- ცვლილებები ფინანსური აქტივის პირობებში, რომლებიც იწვევს შეუსაბამობას „მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის დაფარვის“ (SPPI) კრიტერიუმთან (კონვერტაციის პირობის დამატება).

თუ ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული, მოდიფიცირებული აქტივისგან მიღებული ფულადი ნაკადები არ არის არსებითად შეცვლილი, მაშინ მოდიფიცირების შედეგად ფინანსური აქტივის აღიარება არ წყდება. ამ შემთხვევაში, კომპანია ხელახლა ანგარიშობს ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას და მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას წარმოქმნილ თანხას აღრიცხავს როგორც მოდიფიცირებით განპირობებულ შემოსულობას ან ზარალს მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში. ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ხელახლა გამოითვლება როგორც შეცვლილი ან მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირდება აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებას და ამორტიზდება მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის დარჩენილი ვადის განმავლობაში.

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების მოდიფიცირება -ფინანსური ვალდებულებები. კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც იცვლება მისი პირობები და არსებითად განსხვავდება მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულებისგან მიღებული ფულადი ნაკადები. ამ შემთხვევაში, ახალი, მოდიფიცირებულ პირობებზე დაფუძნებული ფინანსური ვალდებულება აღიარდება რეალური ღირებულებით. სხვაობა აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და ახალ მოდიფიცირებულ პირობებიან ფინანსურ ვალდებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ მოდიფიცირება (ან გაცვლა) არ იწვევს ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტას, კომპანია იყენებს ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკას. როდესაც მოდიფიცირება არ იწვევს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტას კომპანია აღიარებს ესეთი მოდიფიცირებიდან (ან გაცვლიდან) წარმოქმნილ, ფინანსური ვალდებულების ამორტიზირებული ღირებულების ნებისმიერ კორექტირებას, მოგებაში ან ზარალში, მოდიფიცირების (გაცვლის) თარიღში.

ცვლილებები არსებული ფინანსური ვალდებულებების ფულად ნაკადებში არ მიიჩნევა კორექტირებად, თუ ისინი წარმოიშვა არსებული სახელშეკრულებო პირობებიდან, მაგალითად ბანკის მიერ განხორციელებული

ცვლილებები ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული მთავარი განაკვეთების ცვლილების გამო, თუ სასესხო ხელშეკრულება აძლევს ბანკს ამის საშუალებას და კომპანიას აქვს საშუალება მიიღოს შეცვლილი განაკვეთი ან დაფაროს სესხი მისი ნომინალური ღირებულებით ჯარიმის გადახდის გარეშე. საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისას არსებული საბაზრო განაკვეთის შესაბამისად, კომპანია ხელმძღვანელობს მცოცავი საპროცენტო განაკვეთის ფინანსური ინსტრუმენტებით. ეს ნიშნავს, რომ შესაბამისად იცვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთიც.

კომპანია აფასებს არსებითა თუ არა მოდიფიცირება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. კომპანია ასკვნის, რომ მოდიფიცირება არსებითა შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ცვლილება ფინანსური ვალდებულების ვალუტაში;
- უზრუნველყოფის ან საკრედიტო გაუჯობესების ცვლილება;
- კონვერტაციის პირობის დამატება;
- ფინანსური ვალდებულების სუბორდინაციის ცვლილება.

რაოდენობრივი შეფასებისას მნიშვნელოვნად იცვლება პირობები თუ ახალი პირობების მიხედვით ფულადი ნაკადების დისკონტირებული დღევანდელი ღირებულება, წმინდად გადახდილი თანხების (დისკონტირებული თავდაპირველი საპროცენტო განაკვეთით) ჩათვლით, მინიმუმ 10%-ით განსხვავდება საწყისი ფინანსური ვალდებულებიდან წარმოქმნილი ნარჩენი ფულადი ნაკადების დისკონტირებული დღევანდელი ღირებულებისგან. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების მოდიფიცირება მიჩნეულია ვალის დაფარვად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საფასური აღიარებულია ვალის დაფარვისას მიღებულ შემოსულობაში ან ზარალში. თუ გაცვლა ან მოდიფიცირება არ არის მიჩნეული ვალის დაფარვად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საფასური აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზირებულია მოდიფიცირებული ვალდებულების დარჩენილი ვადის განმავლობაში.

აღიარების შეწყვეტა-ფინანსური აქტივები. კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს გასდის ვადა, ან ის გადასცემს გარიგებიდან მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებზე უფლებებს, გარიგებაში, რომელშიც ფინანსური აქტივის ფლობის თითქმის ყველა რისკი და ანაზღაურება არის გადაცემული, ან როდესაც კომპანია არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკებს და სარგებელს და კომპანია არ ინარჩუნებს ფინანსურ აქტივზე კონტროლს.

კომპანია დებს გარიგებებს, რომლითაც ის გადასცემს მისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებულ აქტივებს, მაგრამ ინარჩუნებს გადაცემულ აქტივებთან დაკავშირებულ ყველა ან არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს. ასეთ შემთხვევებში, გადაცემული აქტივის აღიარება არ წყდება.

აღიარების შეწყვეტა-ფინანსური ვალდებულებები. კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როდესაც მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები სრულდება, უქმდება ან ვადა გასდის. კომპანია ასევე წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როცა მისი პირობები არის მოდიფიცირებული და მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულებიდან მიღებული ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად განსხვავდება, რა შემთხვევაშიც მოდიფიცირებულ პირობებზე დაფუძნებული ახალი ფინანსური ვალდებულება აღიარდება მისი რეალური ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას გაუქმებულ საბალანსო ღირებულებას შორის და გადახდილ თანხას შორის სხვაობა (ნებისმიერი არაფულადი აქტივების გადაცემის და ნაკისრი ვალდებულებების ჩათვლით) აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებები დაირიცხება მაშინ, როდესაც კონტრაქტის ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს და თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდგომში აისახება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები შეიძლება იყოს ურთიერთ გადაფარული და წმინდა ოდენობა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ როდესაც კომპანიას აქვს იურიდიული ურთიერთგადაფარვის აღსრულების უფლება, და ის აპირებს მათ ანგარიშსწორებას წმინდა საფუძველზე ან აქტივის რეალიზებით და ვალდებულების

იმავდროულად ანგარიშსწორებით.

გაუფასურება - არა-წარმოებული ფინანსური აქტივები - ფინანსური ინსტრუმენტები. კომპანია აღიარებს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხებს:

კომპანია ზარალის ანარიცხებს აფასებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი ოდენობით, შემდეგი შემთხვევების გარდა, როდესაც ფასდება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით:

- სავალო ფასიანი ქაღალდები, რომლებსაც საანგარიშგებო თარიღისთვის დაბალი საკრედიტო რისკი აქვთ; და
- სხვა სავალო ფასიანი ქაღალდები და საბანკო ნაშთები, რომლებისთვისაც საკრედიტო რისკი (ანუ ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა) არსებითად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარების შემდეგ.

ზარალის ანარიცხები სავაჭრო მოთხოვნებზე და სახელშეკრულებო აქტივებზე ყოველთვის ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი ოდენობით.

ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარებისას საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის დასადგენად და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს გონივრულ და დასაბუთებულ ინფორმაციას, რომელიც შესაბამისი და ხელმისაწვდომია ზედმეტი ხარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე. ეს მოიცავს როგორც ხარისხობრივ ისე რაოდენობრივ ინფორმაციას და ანალიზს, კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ინფორმირებული საკრედიტო შეფასების და საპროგნოზო ინფორმაციის გათვალისწინებით.

კომპანია ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდად მიიჩნევს როდესაც მას 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება აქვს.

კომპანია ფინანსური აქტივის დეფოლტს განიხილავს მაშინ, როდესაც:

- არ არის სავარაუდო რომ მსესხებელი სრულად დაფარავს თავის საკრედიტო ვალდებულებებს კომპანიის მიმართ, კომპანიის მიერ უზრუნველყოფის რეალიზაციის გარეშე (ასეთის არსებობის შემთხვევაში); ან
- ფინანსური აქტივი 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებულია.

კომპანია მიიჩნევს, რომ სესხის უზრუნველყოფას დაბალი საკრედიტო რისკი აქვს, როდესაც მისი საკრედიტო რეიტინგი ტოლია გლობალურად მიღებული განმარტების- „საინვესტიციო ხარისხი“.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი რომელიც წარმოიქმნება ნებისმიერი შესაძლო დეფოლტის მოვლენებისგან ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის ვადის განმავლობაში.

12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ის ნაწილი, რომელიც წარმოიქმნება საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში შესაძლო დეფოლტის მოვლენებისგან (ან უფრო მოკლე ვადაში თუ ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის ვადა 12 თვეზე ნაკლებია).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას გამოყენებული მაქსიმალური პერიოდი შეესაბამება მაქსიმალურ სახელშეკრულებო პერიოდს, რომლის განმავლობაშიც კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს.

არა-წარმოებული ფინანსური აქტივები - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის საკრედიტო ზარალების ალბათობით შეწონილი შეფასება. საკრედიტო ზარალი ფასდება ყველა ფულადი დანაკლისის დღევანდელი ღირებულებით (ანუ სხვაობა საწარმოდან ხელშეკრულების მიხედვით მიღებულ ფულად ნაკადებსა და მოსალოდნელ მისაღებ ფულად ნაკადებს შორის). მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დისკონტირდება ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

არა-წარმოებული ფინანსური აქტივები - საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივები. ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, კომპანია აფასებს საკრედიტო რისკით გაუფასურდა თუ არა ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული სავალო ფასიანი ქაღალდები. ფინანსური აქტივი „გაუფასურებულია საკრედიტო რისკით“ როდესაც ფინანსური აქტივის სამომავლო ფულად ნაკადებზე საზიანო გავლენის მქონე ერთ ან მეტ მოვლენას ჰქონდა ადგილი. ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკით გაუფასურების მტკიცებულებები მოიცავს შემდეგ დაკვირვებად მონაცემებს:

- გამსესხებლის ან მსესხებლის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულებები;
- ხელშეკრულების დარღვევა, მაგალითად დეფოლტი ან 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
- კომპანიის მიერ წინსწრების ან სესხის რესტრუქტურირება იმ პირობებით, რომლებსაც კომპანია სხვა შემთხვევაში არ განიხილავდა;
- მოსალოდნელია მსესხებლის მიერ გაკოტრების პროცედურის, ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესის დაწყება; ან
- უზრუნველყოფის აქტიური ბაზრის გაქრობა ფინანსური სირთულების გამო.

არა-წარმოებული ფინანსური აქტივები - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხის წარდგენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. ზარალის ანარიცხები ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის აკლდება აქტივების მთლიან საბალანსო ღირებულებას. რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული სავალო ფასიანი ქაღალდებისთვის, ზარალის ანარიცხი დარიცხულია მოგებაზე ან ზარალზე და აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში.

არა-წარმოებული ფინანსური აქტივები - ჩამოწერა. ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება, როდესაც კომპანიას არ გააჩნია ფინანსური აქტივის მთლიანად ან ნაწილობრივ ანაზღაურების გონივრული მოლოდინი. ინდივიდუალური მომხმარებლებისთვის, კომპანიას განსაზღვრული აქვს ბრუტო საბალანსო ღირებულების ჩამოწერის პოლიტიკა, როდესაც ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულია 180 დღეზე მეტით, მსგავსი აქტივების ანაზღაურების ისტორიული გამოცდილების საფუძველზე. კორპორაციული მომხმარებლების შემთხვევაში, კომპანია ახორციელებს ვადებისა და ჩამოწერის ოდენობების ინდივიდუალურ შეფასებას, იმის გათვალისწინებით, არსებობს თუ არა ანაზღაურების გონივრული მოლოდინი. კომპანია არ მოელის მნიშვნელოვანი ოდენობის ანაზღაურებას ჩამოწერილი თანხიდან. თუმცა, ჩამოწერილი ფინანსური აქტივები შეიძლება მაინც გახდეს საადრეულო საქმიანობის საგანი იმისათვის, რომ შესაბამისობაში მოვიდეს კომპანიის თანხების ანაზღაურების პროცედურებთან.

არაფინანსური აქტივები. კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება, მარაგების გარდა, განიხილება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის, იმისათვის, რომ დადგინდეს არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება. გაუფასურების ზარალი აღიარდება თუ აქტივის და მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებას.

გაუფასურების დადგენის მიზნით, აქტივები, რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც იწვევს ფულადი ნაკადების წარმოქმნას უწყვეტი სარგებლობიდან და რომლებიც დიდწილად დამოუკიდებელი არიან სხვა აქტივების ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ფულადი სახსრების შემოადინებებისგან.

აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და რეალურ ღირებულებას (რაც შემცირებულია გაყიდვის ხარჯებით) შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შეფასებისას, სამომავლო, შეფასებული ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ დღევანდელ ღირებულებამდე, გადასახადების გადახდამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რაც ასახავს მიმდინარე საბაზრო შეფასებას ფულის დროითი ღირებულებისა და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. გაუფასურების ზარალი აღიარდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფის) აქტივების საბალანსო ღირებულების შესამცირებლად პროპორციულობის საფუძველზე.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის, ნებისმიერ მინიშნებაზე, რომ ზარალი შემცირდა ან აღარ არსებობს. გაუფასურების ზარალის აღდგენა ხდება,

თუ ადგილი აქვს ცვლილებას ანაზღაურებადი თანხის განსაზღვრებაში გამოყენებულ შეფასებებში. გაუფასურების ზარალი აღდგენას ექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას (ცვეთის ან ამორტიზაციის გამოკლებით), რაც იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ გაუფასურების ზარალი არ იქნებოდა აღიარებული.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის გაცხადებული საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის აქციონერის მიერ. კომპანიის წესდებაში ცვლილებები უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის აქციონერის გადაწყვეტილების საფუძველზე.

იჯარები. კომპანიამ ფასს 16-ი მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით გამოიყენა და მაშასადამე, შესადარისი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული და კვლავ ბასს 17-ის და ფასიკ 4-ის ფარგლებში არის წარმოდგენილი. ხელშეკრულების დადებისას, კომპანია განსაზღვრავს არის თუ არა ან მოიცავს თუ არა აღნიშნული ხელშეკრულება იჯარას. ხელშეკრულება არის ან შეიცავს იჯარას თუ ის გადასცემს კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას დროის გარკვეული პერიოდით გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ.

როგორც მოიჯარე. საიჯარო კომპონენტის შემცველი ხელშეკრულების დადების ან მისი ცვლილების დროს, კომპანია ხელშეკრულებაში მოცემულ ანაზღაურებას თითოეულ საიჯარო კომპონენტზე ანაწილებს მისი შესაბამისი, ინდივიდუალური ფასის მიხედვით. თუმცა, საკუთრების იჯარებისთვის კომპანია ირჩევს არ განაცალკევოს არასაიჯარო კომპონენტები და აღრიცხოს საიჯარო და არასაიჯარო კომპონენტები ერთიანი საიჯარო კომპონენტის სახით.

კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას იჯარის დაწყების თარიღისთვის. აქტივის გამოყენების უფლება თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ ოდენობას, რომელიც კორექტირებულია ნებისმიერი საიჯარო გადახდებით, რომლებიც დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელდა, დამატებული ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირ გაწეული ხარჯები და აქტივის დემონტაჟისა და შესაბამისი აქტივის გატანის ან მისი აღდგენის ან იმ ტერიტორიის აღდგენის ხარჯები სადაც აღნიშნული აქტივი მდებარეობდა, შემცირებული ნებისმიერი მიღებული იჯარის წამახალისებლით.

შემდგომ ხდება აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის დაწყებიდან მისი დასრულების თარიღამდე, გარდა შემთხვევებისა როდესაც იჯარა კომპანიას გადასცემს შესაბამისი აქტივის მფლობელობას იჯარის ვადის ბოლოს, ან იმ შემთხვევაში თუ აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება ასახავს კომპანიის მხრიდან შესყიდვის ოფციონის გამოყენებას. ამ შემთხვევაში მოხდება აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა შესაბამისი აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის მანძილზე, რომელიც ძირითადი საშუალებების მსგავს საფუძველზე განისაზღვრება. ამასთანავე, აქტივის გამოყენების უფლება პერიოდულად შემცირებულია გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და კორექტირდება საიჯარო ვალდებულების კონკრეტული გადაფასებებით.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად ფასდება იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულებით, რომლებიც არ არის გადახდილი დაწყების თარიღისათვის, დისკონტირებულია იჯარაში ჩართული საპროცენტო განაკვეთით ან, თუ აღნიშნული განაკვეთის განსაზღვრა დროულად ვერ ხერხდება, კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთით. ზოგადად, კომპანია დისკონტირების განაკვეთად მის ზღვრულ სასესხო განაკვეთს იყენებს.

კომპანია მის ზღვრულ სასესხო განაკვეთს განსაზღვრავს სხვადასხვა გარე დაფინანსების წყაროებიდან საპროცენტო განაკვეთების მოპოვების გზით და აკეთებს გარკვეულ კორექტირებებს იჯარის პირობების და იჯარით აღებული აქტივის სახეობის ასახვის მიზნით.

კომპანიამ აირჩია გამოიყენოს ერთი დისკონტირების განაკვეთი მსგავსი მახასიათებლების მქონე იჯარების პორტფელზე. კომპანიამ აირჩია გამოიყენოს პორტფელის აღრიცხვა მსგავსი მახასიათებლების მქონე იჯარებისთვის.

საიჯარო ვალდებულების შეფასებაში შეტანილი საიჯარო გადახდები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს, მათ შორის არსებითად ფიქსირებულ გადასახდელებს.

საიჯარო ვალდებულება შემდგომ გაზრდილია საპროცენტო ხარჯით საიჯარო ვალდებულებაზე და შემცირებულია განხორციელებული საიჯარო გადახდებით. საიჯარო ვალდებულება ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. ის ხელახლა შეფასდება,

თუ კომპანია შეცვლის იმის შეფასებას გამოიყენებს თუ არა ის შესყიდვის, გახანგრძლივების ან შეწყვეტის ოფციონს, ან არსებობს თუ არა გადასინჯული არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადასახდელები.

როდესაც საიჯარო ვალდებულება მსგავსი გზით ხელახლა შეფასდება, ხდება აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულების შესაბამისი კორექტირება, ან აღირიცხება მოგებაში ან ზარალში თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება შემცირებულია ნულამდე. საიჯარო ვადა ასახავს კომპანიის იმ პერიოდის დასაბუთებულ შეფასებას, რომლის განმავლობაშიც შესაბამისი აქტივი იქნება გამოყენებული. საიჯარო ვადის განსაზღვრისას კომპანია აფუძნებს მის განსჯას ხელშეკრულების და შესაბამისი აქტივის ფართო ეკონომიკაზე და არა მხოლოდ სახელშეკრულებო პირობებზე, რაც იძლევა საშუალებას, რომ ფაქტორები, როგორებიცაა ეკონომიკური ჯარიმები, საკანონმდებლო მიდგომა იჯარის განახლებაზე, მოსალოდნელი ცვლილებები რეგულაციაში და კომპანიის სამომავლო ბიზნეს გეგმები ეფექტურად იყოს ასახული საიჯარო ვადის შეფასებაში.

მოკლევადიანი იჯარები და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარები. კომპანიამ აირჩია არ აღიაროს აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებისთვის და მოკლევადიანი იჯარებისთვის. კომპანია აღნიშნულ იჯარებთან დაკავშირებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს ხარჯის სახით წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის ვადის განმავლობაში.

მიღებული ავანსები და გადავადებული ამონაგები. მიღებული ავანსები მომხმარებლებზე საწვავის გაყიდვებს უკავშირდება. მიღებული ანაზღაურება თავდაპირველად აღიარდება ვალდებულების სახით, როდესაც კლიენტები ახორციელებენ გადახდებს, ხოლო ამონაგები აღიარდება, როდესაც ხდება საწვავის შეძენა სადგურებზე. გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარებასთან დაკავშირებული სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ.

ანარიცხები. ანარიცხების აღიარება ხდება, როცა კომპანიას აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად, რომლის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია და სავარაუდოა, რომ ვალდებულებების დაფარვას დასჭირდება ეკონომიკური სარგებლის გადინება. ანარიცხები განისაზღვრება მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების გადასახადებამდე არსებული განაკვეთით დისკონტირების მეშვეობით, რაც ასახავს ფულის დროით ღირებულების და, ვალდებულებისთვის დამახასიათებელი რისკების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს. დისკონტის პოზიციის დახურვა აღიარდება ფინანსური ხარჯის სახით.

ამონაგების აღიარება. ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის შედეგად. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე. შემოსავალი აღიარდება ფასდათმობების, უკუგებისა და დღგ-ს გარეშე.

საქონლის გაყიდვა. კომპანიის მომხმარებლები შეიძლება დაიყოს: საცალო ქსელის მომხმარებლებად და საბითუმო მომხმარებლებად. გაყიდვა აღიარდება საქონელზე კონტროლის გადაცემისას, ანუ როდესაც საქონელი მიეწოდება მომხმარებელს, მომხმარებელს სრული კონტროლი აქვს საქონელზე და არ არსებობს შეუსრულებელი მოვალეობა, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მომხმარებლის მიერ საქონლის მიღებაზე. მიწოდება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი მიწოდებული იქნება კონკრეტულ ადგილზე, მოძველებისა და დაკარგვის რისკები მომხმარებელს გადაეცემა, მომხმარებელი მიიღებს საქონელს ხელშეკრულების შესაბამისად, ან მიღების ვადა ამოიწურება, ან კომპანიას ობიექტური მტკიცებულება აქვს, რომ მიღებისთვის საჭირო ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.

გაყიდვები ფასდათმობით აღიარდება ხელშეკრულებაში მითითებული ფასის საფუძველზე, შეფასებული მოცულობითი ფასდათმობის გამოკლებით.

მიიჩნევა, რომ დაფინანსების ელემენტი არ არსებობს რადგან კომპანიის გაყიდვების მნიშვნელოვანი ნაწილი ხორციელდება ან წინასწარი გადახდის პირობებით, ან მათი ანგარიშსწორება ხდება საქონელზე კონტროლის გადაცემის ადგილზე. ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება შეთანხმებული ყოფილიყო გადახდის გადავადებული პირობები, თუმცა გადავადება არასოდეს აღემატება თორმეტ თვეს, შესაბამისად, დაფინანსების არც ერთი ელემენტი არ ითვლება არსებულად და გარიგების ფასი არ კორექტირდება მნიშვნელოვანი დაფინანსების კომპონენტის გავლენისათვის.

მოთხოვნა აღიარდება საქონლის მიწოდებისას, რადგან ეს არის დროის მომენტი, როდესაც ანაზღაურების მიღება უპირობოა, რადგან გადახდის განხორციელების ვადის დადგომამდე მხოლოდ დროის გასვლაა საჭირო.

ფიქსირებულ ფასიანი გაყიდვის ხელშეკრულების შემთხვევაში, როდესაც მომხმარებელი წინასწარ იხდის თანხას გადახდის გრაფიკის მიხედვით, გადავადებული შემოსავალი აღიარდება, თუ გადახდები აღემატება მოწოდებულ საქონელს.

მომხმარებელთა ერთგულების პროგრამა. კომპანია ამუშავებს ერთგულების პროგრამას ორივე ტიპის მომხმარებლებისათვის, რომლის ფარგლებში მომხმარებლებს ენიჭებათ სამომავლო შესყიდვებზე ფასდათმობების მიღების უფლება, რაც დაფუძნებულია მანამდე განხორციელებულ შესყიდვებზე. ფასდაკლებების შესაფასებლად და უზრუნველსაყოფად გამოიყენება დაგროვილი გამოცდილება მოსალოდნელი ღირებულების მეთოდის საფუძველზე, ხოლო ამონაგები აღიარდება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ ადგილი არ ექნება მნიშვნელოვან გაუქმებას. გადავადებული ამონაგები (რომელიც შესულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში) მომხმარებელთათვის მოსალოდნელი მოცულობითი ფასდაკლების ვალდებულებისთვის აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლომდე განხორციელებულ გაყიდვებთან დაკავშირებით.

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები. კომპანიის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები მოიცავს:

- საპროცენტო ხარჯებს;
- საპროცენტო შემოსავალს საბანკო ნაშთებზე;
- ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე სავალუტო შემოსულობებს და ზარალს;
- ჯარიმებს დაგვიანებული გადახდებისთვის.

საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს შეფასებულ სამომავლო ფულად გადახდებს ან შემოსულობებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის მიხედვით:

- ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება; ან
- ფინანსური ვალდებულების ამორტიზირებული ღირებულება.

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის გამოთვლისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე (როდესაც აქტივი არ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული) ან ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებაზე. თუმცა, ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც თავდაპირველი აღიარების შემდგომ გაუფასურდა საკრედიტო რისკით, საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე გამოყენების მეშვეობით. თუ აქტივი აღარ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული, მაშინ საპროცენტო შემოსავლის გამოთვლა უზრუნველყოფს მთლიან საბალანსო ღირებულებაზე დათვლის მეთოდს.

სავალუტო შემოსულობები და ზარალი წარმოდგენილია წმინდა საფუძველზე, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, რაც დამოკიდებულია იმ ფაქტზე, წარმოდგენილია თუ არა უცხოური ვალუტის მოძრაობა წმინდა მოგების ან წმინდა ზარალის პოზიციაში.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაყვანილია ოპერაციების თარიღის შესაბამისი გაცვლითი კურსის გამოყენებით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება კომპანიის სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. სავალუტო შემოსულობა ან ზარალი ფულად მუხლებზე წარმოადგენს სხვაობას პერიოდის დასაწყისში არსებულ სამუშაო ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებასა (კორექტირებულს ეფექტური პროცენტით და გადახდებით პერიოდის განმავლობაში) და უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას შორის, რომელიც კონვერტირებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც რეალური

ღირებულების საფუძველზე ფასდება, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში რეალური ღირებულების დადგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი ერთეულები, რომლებიც ფასდება პირვანდელი ღირებულებით, კონვერტირდება გარიგების თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოქმნილი სხვაობები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები. დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და ხარჯად აღირიცხება შესაბამისი მომსახურების გაწევისას. ვალდებულება აღიარდება თანხისთვის, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ან მოგების განაწილების გეგმის ფარგლებში, თუ კომპანიას ექნება მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს აღნიშნული თანხა დასაქმებულის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების შედეგად, და როდესაც ამ ვალდებულების საწარმოოდ შეფასება შესაძლებელია.

იმდენად, რამდენადაც კომპანიის მიერ სოციალურ პროგრამებში განხორციელებულ შენატანებს საზოგადოებისთვის სარგებლის მოტანა შეუძლია და არ შემოიფარგლება მხოლოდ კომპანიის თანამშრომლებით, ისინი აღიარდება მოგებაში ან ზარალში მათი გაწევისთანავე.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს. მიმდინარე გადასახადი. მიმდინარე გადასახადის ხარჯი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება, საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ან არსებითად ამოქმედებულია საანგარიშგებო თარიღისათვის, ასევე მოიცავს წინა წლების საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერ კორექტირებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება აგრეთვე მოიცავს დივიდენდებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას დაბეგვრადი მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და მოქმედებს საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა საფინანსო დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა მოგვიანებით.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ იგი იღებს ყველა აუცილებელ ზომას კომპანიის საქმიანობის სტაბილურობისა და განვითარების ხელშესაწყობად.

2. ადამიანური რესურსების პოლიტიკა

2023 წლის მდგომარეობით, რომპეტროლ საქართველოში დასაქმებული იყო საშუალოდ 660 ადამიანი, რომელთაგანაც დაახლოებით 5% არის ტოპ და საშუალო რგოლის მენეჯერები და 11% ოფისიდან მომუშავე სხვადასხვა პროფესიონალი, ხოლო დანარჩენი თანამშრომლები არიან ბაზებზე და ავტოგასამართ სადგურებზე მომუშავე პირები.

რომპეტროლ საქართველო არის ქართულ ბაზარზე ერთ-ერთი საუკეთესო დამსაქმებელი, რომელიც თანამშრომლებზე მორგებულ განვითარების სხვადასხვა პროგრამებს სთავაზობს მათ.

თანამშრომლობის და ტალანტების განვითარების პროგრამების ეფექტურად განხორციელებისთვის გამოყოფილი ფონდი შეადგენს მთლიანი საკადრო ხარჯების 1%-ს.

კომპანია ეფექტურად იყენებს თანამშრომლების შეფასების სისტემას, რომელიც მოიცავს ეფექტურობისა და სამუშაოს შესრულების შედეგების მენეჯმენტს KPI, MBOs და კომპეტენციის მოდელებით. თანამშრომლებს (კომერციული და საცალო ქსელის დეპარტამენტების გარდა) აქვთ საშუალება მიიღონ ყოველწლიური პრემია, მათი ინდივიდუალური მიღწევების საფუძველზე, შესრულებული სამუშაოს შეფასების სისტემის შედეგების მიხედვით.

რაც შეეხება კომერციულ და საცალო ქსელის თანამშრომლებს, მოქმედებს ეფექტური კვარტალური საბონუსე სისტემა და კვარტალური ანაზღაურებები დაფუძნებულია გეგმების ფაქტიურ შესრულებაზე.

კომპანიისთვის თანამშრომლების კეთილდღეობა არის უმთავრესი პრიორიტეტი. შესაბამისად, კომპანია თანამშრომლებს სთავაზობს ძალიან მდიდარ და მრავალფეროვან თანამშრომელთა კეთილდღეობის პროგრამებს. მაგალითად, დასაქმებულთა დამატებითი კეთილდღეობის პროგრამები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ შემდეგით: დასაქმებულის წილი საპენსიო ფონდში გადასახდელის გადახდა, ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამები, მათ შორის სიცოცხლის დაზღვევა და მოგზაურობის დაზღვევა, სპორტული აკადემია, სწავლისთვის გამოყოფილი სპეციალური შვებულების დღეების ანაზღაურება, მოკლე სამუშაო დღე პარასკევს, ოფისის თანამშრომლებისთვის დისტანციურად მუშაობის შესაძლებლობა და სხვა.

3. კომპანიის განვითარების სტრატეგია

კომპანიის განვითარების სტრატეგია კონცენტრირებულია მისი საცალო ქსელის განვითარებაზე, საქართველოს სხვადასხვა ადგილას ახალი ავტო გასამართი სადგურების გახსნის გზით, დამატებით დაგეგმილია ქსელში ახალი მომსახურების ტიპების დამატება, როგორცაა მაღაზია და ავტომობილების რეცხვა. ამასთან, კომპანიისთვის მომხმარებელთა კმაყოფილება პრიორიტეტულია და ის მუდმივად მუშაობს მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესებაზე. პერიოდულად ტარდება სხვადასხვა ტიპის კვლევები მომხმარებელთა კმაყოფილების, მომსახურების ხარისხის, ბრენდის მდგრადობის და საწვავის ბაზარზე პოზიციონირების მონიტორინგის მიზნით.

2017 წლის აგვისტოში ელთვულების პროგრამის ამოქმედების შემდეგ, ერთგული მომხმარებლების ბაზა 2022 წლის 31 დეკემბრისთვის არსებული მონაცემებით 353,225-დან გაიზარდა 2023 წლის ბოლოსთვის 388,302 მომხმარებელამდე.

4. კომპანიის მთავარი ფინანსური ინდიკატორები

ფინანსური წელი	ერთობლივი შემოსავალი (ათას აშშ დოლარში)	მთლიანი აქტივები (ათას აშშ დოლარში)
2023	232,768	54,850
2022	336,477	56,516

5. ფინანსური რისკები

კომპანიაში რისკების მართვა დაკავშირებულია ფინანსური, ოპერაციული და იურიდიული რისკების მართვასთან. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო განაკვეთის რისკის და ფასთან დაკავშირებული სხვა რისკების ჩათვლით), საკრედიტო რისკსა და ლიკვიდობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი მიზანია რისკის ლიმიტების დადგენა და შემდეგ რისკისადმი მგრძნობელობის აღნიშნულ ლიმიტებში შენარჩუნების უზრუნველყოფა, ოპერაციული და იურიდიული რისკების მართვა ხდება შიდა პოლიტიკითა და პროცედურებით, რომელიც მიმართულია ოპერაციული და იურიდიული რისკების შემცირების მიზნით.

საბაზრო რისკი. კომპანია დამოკიდებულია საბაზრო რისკებზე. საბაზრო რისკები წარმოიშობა ღია პოზიციებიდან (ა) უცხოურ ვალუტებში და (ბ) პროცენტთან აქტივებსა და ვალდებულებებში, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და კონკრეტულ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობამ განსაზღვრა ლიმიტები მისაღები რისკის მაჩვენებელთან მიმართებაში, რომელიც ყოველდღიურად კონტროლდება. თუმცა, ამგვარი მიდგომის გამოყენება ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული ლიმიტების გარეთ ზარალის თავიდან აცილებას, ბაზარზე არსებითი ცვლილებების შემთხვევაში.

ქვემოთ მოცემული საბაზრო რისკებისადმი დამოკიდებულებები ეფუძნება ერთი კოეფიციენტის ცვლილებას, მაშინ როცა ყველა სხვა ფაქტორი რჩება უცვლელი. პრაქტიკაში ეს ნაკლებად მოსალოდნელია და ზოგიერთი ფაქტორის ცვლილებაც შესაძლებელია დარეგულირდეს – მაგალითად, ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში და უცხოური ვალუტის კურსში.

სავალუტო რისკი. ქვემოთ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს:

'000 აშშ დოლარი	ლარში - დენომინირებული	ლარში - დენომინირებული
	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,990	4,052
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(1,178)	(2,058)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,734	1,664
რისკისადმი წმინდა დაქვემდებარება	5,546	3,658

ზემოაღნიშნული ანალიზი მოიცავს მხოლოდ მონეტარულ აქტივებსა და ვალდებულებებს. ინვესტიციები არაფულად აქტივებში ითვლება, რომ არ წარმოქმნის რაიმე არსებით სავალუტო რისკს.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა

რომპეტროლ საქართველო აქტიურად იყო ჩართული კორპორაციულ სოციალურ აქტივობაში 2023 წელსაც. კომპანია ასევე აქტიურად ეხმარებოდა მოსახლეობის სხვა დაუცველ ნაწილს, რომლებიც არიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ობოლი ბავშვები და მოხუცები, რომლებიც საჭიროებენ თავშესაფარს, ასევე უსასყიდლო საწვავით ამარაგებდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს მათი კვების ცენტრებში ან საკუთარ სახლებში ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად. დისტანციური მუშაობისა და უსაფრთხოების ზომების მრავალი დამხმარე სახელმძღვანელოს შემუშავებამ საშუალება მისცა კომპანიას ხელი შეუწყოს თავისი მომხმარებლების, თანამშრომლებისა და მათი ოჯახების ჯანმრთელობის დაცვას. რომპეტროლ საქართველო აქტიურადუწევს პოპულარიზაციას ჯანსაღი ცხოვრების წესს ერთ-ერთი ქართველი მრბოელის სპონსორობით, რომელმაც მოახერხა რამდენიმე გამარჯვების მოპოვება ისეთ მნიშვნელოვან ადგილობრივ შეჯიბრებებზე, როგორიცაა Georgian Drift Series 2023, Georgian Rally Cross Championship 2023, და King of Drift 2023. კომპანია გეგმავს გააგრძელოს მდგრადი განვითარება თავისი დაინტერესებული მხარეების საჭიროებებზე დაკვირვებით.

6. კვლევა და განვითარება

კომპანიამ წარმატებით შეძლო წარემართა ბიზნესი და მარკეტინგული ოპერაციები, და ინტენსიურად განახორციელა კომუნიკაციები სოციალური მედით და სხვა მედია არხებით, რათა გაეძლიერებინა ბრენდის, როგორც მაღალი ხარისხის პროდუქტისა და მომსახურების ევროპული ბრენდის იმიჯი. რომპეტროლ ჯორჯიამ განაახლა ბრენდის პარტნიორობა პაშა ბანკთან „იყიდე-ახლა-გადაიხადე-მოგვიანებით“ საცალო ბანკის მომსახურებაზე, რომელიც ორმხრივ მომხმარებლებს სთავაზობს საწვავის კრედიტით შეძენას. კომპანიამ ასევე გააგრძელა თანამშრომლობა საქართველოს ერთ-ერთ წამყვან ბანკთან, საქართველოს ბანკთან (BOG) PLUS-ზე ქულების დაგროვებისა და დაბრუნების სპეციალურ აქციებსა და პროგრამებზე. კომპანია აქტიურად ემზადებოდა ევროპული მაღაზიისა და გასტრო ბრენდის “hei”-ს გახსნისთვის თავის ქსელში, რომლის მეშვეობითაც შეძლებდა მომხმარებლისთვის უგემრიელესი ყავის, საკონდიტრო ნაწარმისა და კომფორტის მაღაზიების პროდუქციის შეთავაზებას, სადგურებს კი უფრო მეტად დასასვენებელ ადგილად აქცევდა. მიუხედავად სადგურების დახურვისა, კომპანიას არ შეუწყვეტია თავის ერთგული მომხმარებლებისთვის იმის ჩვენება, რომ კომპანია ორიენტირებულია მუდმივ განვითარებაზე, ერთგული მომხმარებლების შენარჩუნებასა და ახლის მოზიდვაზე, ამგვარად, ინვესტიციები კომპანიისთვის გრძელვადიანი ვალდებულებაა.

მალიკ ტულეკოვი

ფინანსური დირექტორი

2024 წლის 8 ნოემბერი

თბილისი, საქართველო

კუანიშ ჟოლბარის

გენერალური დირექტორი

2024 წლის 8 ნოემბერი

თბილისი, საქართველო

შპს რომპეტროლ საქართველო

ფინანსური ანგარიშგება, მმართველობის
ანგარიში და დამოუკიდებელი აუდიტორის
დასკვნა
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

ნინო ნიჭილაძე

შპს რომპეტროლ საქართველო

შინაარსი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობის ანგარიშის მომზადებასა და დამტკიცებაზე.....	1
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	2-4
ფინანსური ანგარიშგება:	
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	5
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	6
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება.....	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	8
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	
1. შპს რომპეტროლ საქართველო და მისი საქმიანობა.....	9
2. კომპანიის საოპერაციო გარემო	9
3. სააღრიცხვო პოლიტიკები	10
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას	21
5. ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება	23
6. ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	24
7. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	24
8. დისტრიბუციის ხარჯები	24
9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	25
10. ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები	25
11. ძირითადი საშუალებები	26
12. მარაგები	27
13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	27
14. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	27
15. საწესდებო კაპიტალი.....	28
16. კაპიტალის მართვა	28
17. იჯარები.....	28
18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	30
19. რეალური ღირებულება და რისკების მართვა.....	30
20. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები	35
21. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	37
22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	38
მმართველობის ანგარიში.....	39-41

ნინო ნიჭილაძე

შპს რომპეტროლ საქართველო

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობის ანგარიშის მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს რომპეტროლ საქართველოს („კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ოპერაციების შედეგებს, კაპიტალის ცვლილებებს და ფულადი სახსრების მოძრაობას ამ თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად („ფასს“). ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- სააღრიცხვო პოლიტიკის სწორად არჩევასა და მის შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესაძარ და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე;
- მმართველობის ანგარიშში ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაციის განმარტებაზე;
- მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად.

ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც სრულყოფილად წარმოადგენს და განმარტავს კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს გონივრული სიზუსტით წარმოაჩენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და შესაბამისობას ფასს-თან;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე ადგილობრივი კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად ცალკეული მმართველობითი ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი კონტროლის სისტემის დანერგვაზე, რომელიც ხელმძღვანელობის მოსაზრებით უზრუნველყოფს ცალკეული მმართველობითი ანგარიშის მომზადებას თაღლითობისა თუ შეცდომით გამოწვეული მატერიალური უზუსტობების გამორიცხვით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ცალკეული მმართველობის ანგარიში მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად;
- 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ცალკეული მმართველობის ანგარიში მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონით მოთხოვნილ ყველა ინფორმაციას; და
- მმართველობის ანგარიშში მოყვანილი ინფორმაცია ყველა მატერიალურ ასპექტში შეესაბამება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიში 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის დამტკიცდა ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 8 ნოემბერს:

ხელმძღვანელობის სახელით:

მალიკ ტულუკოვი

ფინანსური დირექტორი

2024 წლის 8 ნოემბერი
თბილისი, საქართველო

კუანიშ ჟოლბარის

გენერალური დირექტორი

2024 წლის 8 ნოემბერი
თბილისი, საქართველო

ნიკო ნიჭილაყური

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს რომპეტროლ საქართველოს მფლობელებსა და მენეჯმენტს:

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს რომპეტროლ საქართველოს (შემდგომში “კომპანია”) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი ნაკადების ანგარიშგებასა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის თაობაზე.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური საქმიანობისა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ცალკეული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ კოდექსი) და ჩვენ მიერ შესრულებული სხვა ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა პბეკ კოდექსის სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

სხვა გარემოებები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის კომპანიის ფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობის ანგარიშის აუდიტი განახორციელა სხვა აუდიტორულმა ფირმამ, რომელმაც 2023 წლის 29 სექტემბერს მოამზადა არამოდიფიცირებული მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მმართველობის ანგარიშს.

ჩვენი დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და მასზე რაიმე სახის მარწმუნებელ დასკვნას არ გამოვხატავთ.

ჩვენი პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით მოიცავს აღნიშნული „სხვა ინფორმაციის“ გაცნობას და იმავდროულად იმის დადგენას, არსებობს თუ არა არსებითი შეუსაბამობა „სხვა ინფორმაციასა“ და ფინანსურ ანგარიშგებას ან აუდიტის დროს მოპოვებულ ინფორმაციას შორის, ან ხომ არ არის იგი სხვა არსებითი შეცდომების შემცველი. თუ ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე აღმოჩნდა, რომ არსებობს ამ სხვა ინფორმაციასთან არსებითი სახის შეუსაბამობა, ჩვენ ვალდებული ვართ ამ ფაქტის შესახებ განვაცხადოთ. აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში, მოსახსენებელი არაფერი გვაქვს.

ნინო ნოსტოცაური

ხელმძღვანელობისა და ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიანად წარმოდგენაზე ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და იმ შიდა კონტროლის პროცედურებზე, რომლებიც მენეჯმენტის აზრით დაკავშირებულია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიანად წარმოდგენასთან, რომელიც არ შეიცავს თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია, შეაფასოს კომპანიის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (უწყვეტი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირები მოვალენი არიან უზედამხედველთა კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძველიანი რწმენა, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ ჩვენი აზრის გამოხატველი აუდიტორული დასკვნა. საფუძველიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ერთად:

- ჩვენ ამოვიცნობთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რაც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერაშეფასების რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერაშეფასების რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან აღრიცხვის უწყვეტი საწარმოს პრინციპის საფუძველზე წარმოების თაობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის განუსაზღვრელობა ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ჩვენ ვალდებული ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდევ დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის

ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით მოქმედება;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარმოდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების მიერ შესაბამის ტრანსაქციებსა და მოვლენებს ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარმოდგენის პრინციპს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

ანგარიში სხვა იურიდიული და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (კანონი) მოთხოვნის შესაბამისად, და იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობის უზრუნველყოფაზე, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის გასარკვევად, თუ რამდენად არის მმართველობის ანგარიში მომზადებული კანონის მოთხოვნების შესაბამისად და შეიცავს თუ არა ამავე კანონით განსაზღვრულ ინფორმაციას.

ჩვენ წავიკითხეთ მართველობის ანგარიში და შესრულებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ:

- 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის მომზადებულ მმართველობის ანგარიშში მოყვანილი ინფორმაცია თანმიმდევრულია, ყველა მატერიალური თვალსაზრისით, ამავე წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან მიმართებაში.
- მმართველობის ანგარიში მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მხლით გათვალისწინებულ ინფორმაციას და შეესაბამება შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს;

შოთა ნანიტაშვილი

შპს დელოიტი და ტუშის სახელით

2024 წლის 8 ნოემბერი

თბილისი, საქართველო

ნინო ნოზიშვილი

შპს რომპეტროლ საქართველო
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(თანხები გამოსახულია ათასობით აშშ დოლარში)

ათასი აშშ დოლარი	შენიშვნა	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	12,509	13,516
საინვესტიციო საკუთრება		-	46
აქტივების გამოყენების უფლება	17	18,810	19,398
არამატერიალური აქტივები		180	255
სულ გრძელვადიანი აქტივები		31,499	33,215
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	12	15,962	16,623
სხვა საგადასახადო მოთხოვნები		-	94
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	5,644	4,811
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14	1,745	1,773
სულ მოკლევადიანი აქტივები		23,351	23,301
სულ აქტივები		54,850	56,516
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	15	5,765	5,765
დაგროვილი ზარალი		(5,182)	(2,631)
სულ კაპიტალი		583	3,134
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
იჯარის ვალდებულებები	17	16,737	17,364
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		16,737	17,364
მოკლევადიანი ვალდებულებები			
იჯარის ვალდებულებები	17	3,139	2,748
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18	33,356	32,467
სხვა საგადასახადო ვალდებულებები		305	-
გადავადებული ამონაგები		730	803
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		37,530	36,018
სულ ვალდებულებები		54,267	53,382
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		54,850	56,516

ხელმძღვანელობის სახელით:

მალეკ ტულეკოვი

ფინანსური დირექტორი

2024 წლის 8 ნოემბერი

თბილისი, საქართველო

კუანიშ ჟოლბარის

გენერალური დირექტორი

2024 წლის 8 ნოემბერი

თბილისი, საქართველო

9-38 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ნინო ნონჭოყური

შპს რომპეტროლ საქართველო
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(თანხები გამოსახულია ათასობით აშშ დოლარში)

ათასი აშშ დოლარი	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	6	232,768	336,477
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	7	(215,977)	(321,536)
მთლიანი მოგება		16,791	14,941
დისტრიბუციის ხარჯები	8	(10,787)	(11,417)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9	(5,868)	(6,048)
სხვა საოპერაციო შემოსულობა/(ზარალი), წმინდა	88		(1,111)
საოპერაციო მოგება / (ზარალი)		224	(3,635)
ფინანსური შემოსავალი	10	185	916
ფინანსური ხარჯები	10	(2,960)	(2,408)
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგრამდე		(2,551)	(5,127)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის ზარალი		(2,551)	(5,127)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული ზარალი		(2,551)	(5,127)

ხელმძღვანელობის სახელით:

მალიკ ტულეკოვი

ფინანსური დირექტორი

2024 წლის 8 ნოემბერი

თბილისი, საქართველო

კუანიშ ჟოლბარის

გენერალური დირექტორი

2024 წლის 8 ნოემბერი

თბილისი, საქართველო

9-38 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ნინო ნოზდვოსური

შპს რომპეტროლ საქართველო
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (თანხები გამოსახულია ათასობით აშშ დოლარში)

ათასი აშშ დოლარი	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ (დაგროვილი ზარალი)	სულ
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,765	2,496	8,261
წლის ზარალი და სულ სრული ზარალი	-	(5,127)	(5,127)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,765	(2,631)	3,134
წლის ზარალი და სულ სრული ზარალი	-	(2,551)	(2,551)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,765	(5,182)	583

ხელმძღვანელობის სახელით:

მალიკ ტულეკოვი

ფინანსური დირექტორი

2024 წლის 8 ნოემბერი
 თბილისი, საქართველო

კუანიშ ჟოლბარის

გენერალური დირექტორი

2024 წლის 8 ნოემბერი
 თბილისი, საქართველო

9-38 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ნინო ნოზოლოვი

შპს რომპეტროლ საქართველო
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(თანხები გამოსახულია ათასობით აშშ დოლარში)

ათასი აშშ დოლარი	შენიშვნა	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(2,551)	(5,127)
კორექტირებები:			
ფინანსური შემოსავალი	10	(185)	(916)
ფინანსური ხარჯი	10	2,960	2,408
ცვეთა და ამორტიზაცია	8,9	5,103	6,034
სხვა არა-ფულადი მუხლები		(26)	35
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე		5,301	2,434
ცვლილებები:			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		(631)	3,911
მარაგები		661	108
სავაჭრო და სხვა ვალდებულება		(586)	(171)
გადავადებული ამონაგები		(73)	(191)
სხვა საგადასახადო ვალდებულებები		395	(593)
ფულადი ნაკადები ოპერაციებიდან მოგების გადასახადის და პროცენტის გადახდამდე		5,067	5,498
მიღებული პროცენტი		70	109
საიჯარო ვალდებულებაზე გადახდილი პროცენტი	17	(1,505)	(1,026)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		3,632	4,581
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო საკუთრების შეძენა		(511)	(710)
შემოსულობა საინვესტიციო საკუთრების გაყიდვიდან		-	647
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(511)	(63)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა-ძირითადი თანხა	17	(2,955)	(4,717)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(2,955)	(4,717)
წმინდა ზრდა/(კლება) ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		166	(199)
ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(194)	583
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს		1,773	1,389
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	14	1,745	1,773

ხელმძღვანელობის სახელით:

მალიკ ტულეკოვი

ფინანსური დირექტორი

2024 წლის 8 ნოემბერი

თბილისი, საქართველო

კუანიშ ჟოლბარის

გენერალური დირექტორი

2024 წლის 8 ნოემბერი

თბილისი, საქართველო

9-38 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ნიკო ნიჭუცოყური

1. შპს რომპეტროლ საქართველო და მისი საქმიანობა

შპს რომპეტროლ საქართველო (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და დაარსდა 2005 წლის 5 დეკემბერს საიდენტიფიკაციო ნომრით N204493002. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია თბილისი, საქართველო, გამრეკელის ქ. 19. კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს საქართველო, თბილისი 0171, მ. ალექსიძის #12, მეფე დავითის ბიზნეს ცენტრი, მე-4 სართული.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საწვავის იმპორტი, საბითუმო და საცალო გაყიდვები ბენზინგასამართი სადგურებისა და სასაწყობო ბაზების ქსელის მეშვეობით საქართველოს მასშტაბით. საცალო ქსელი შედგება 71 ბენზინგასამართი სადგურისგან (2022: 71 ბენზინგასამართი სადგური), ქვეყნის მასშტაბით, რომელთა უმრავლესობა - 58 სადგური (2022: 66 ბენზინგასამართი სადგური) არის დაქირავებული მესამე მხარისგან და ფუნქციონირებს „რომპეტროლი“-ს სამარკო ნიშნით.

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის უშუალო მშობელი იყო KMG International N.V. (შემდგომში „მშობელი კომპანია“), რომელსაც საბოლოოდ აკონტროლებდა სს სუვერენული კეთილდღეობის ფონდი „Samruk-Kazyna“ (100% ყაზახეთის რესპუბლიკის მთავრობის საკუთრება), რომელიც აწარმოებს ფინანსურ ანგარიშგებას, რაც ხელმისაწვდომია საჯარო გამოყენებისთვის.

კომპანიის შესყიდვების უმეტესი ნაწილი ხდება ჯგუფის სხვა საწარმოებისგან, ხოლო სავაჭრო მოთხოვნები ამ საწარმოების მიმართ არის, ეს არის საწარმოები, რომლებსაც ხელმძღვანელობს KMG International N.V. (შემდგომში „აქციონერთა ჯგუფი“). შედეგად, კომპანია ეკონომიკურად დამოკიდებულია აქციონერთა ჯგუფზე. გარდა ამისა, კომპანიის საქმიანობა მჭიდროდ არის დაკავშირებული აქციონერთა ჯგუფის მოთხოვნებთან და კომპანიის საფასო პოლიტიკის განსაზღვრა ხორციელდება აქციონერთა ჯგუფთან ერთად. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან დეტალურად აღწერილია 21-ე შენიშვნაში.

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება ხშირ ცვლილებებსა და არაერთგვაროვან ინტერპრეტაციებს. საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

ომი რუსეთსა და უკრაინას შორის. 2022 წლის 24 თებერვალს, რუსეთ-უკრაინის საზღვართან რუსული სამხედრო ძალების მნიშვნელოვანი გაძლიერების შემდეგ, რუსმა ჯარებმა გადაკვეთეს უკრაინის საზღვარი. საერთაშორისოდ მიჩნეული როგორც ომი, ეს შეჭრა არის ყველაზე დიდი სამხედრო თავდასხმა ევროპულ სახელმწიფოზე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ამ ომმა ევროპაში ყველაზე დიდი ლტოლვილთა კრიზისი გამოიწვია, მილიონობით უკრაინელმა დატოვა ქვეყანა და სახლები. უკრაინაში ომის შედეგად, ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა გაერთიანებამ გამოაცხადა მკაცრი ეკონომიკური სანქციები რუსეთზე და უამრავმა კომპანიამ გაიტანა თავისი ბიზნესი რუსეთიდან და ბელარუსიდან. სიტუაცია ჯერ კიდევ ვითარდება, მაგრამ მას უკვე მოჰყვა ჰუმანიტარული კრიზისი და არსებითი ეკონომიკური ზარალი უკრაინის, რუსეთისა და დანარჩენი მსოფლიოსთვის.

იმის გამო, რომ ომი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, შეუძლებელია საიმედოდ შეფასდეს სრული გავლენა, რომელიც მას შეიძლება ჰქონდეს კომპანიაზე, რადგან არსებობს გაურკვევლობა ზოგადად ეკონომიკაზე ზემოქმედების მასშტაბის შესახებ.

2023 წელს საქართველოს ეკონომიკამ დადებითი ეკონომიკური დინამიკა აჩვენა. ამ ტენდენციას ასევე მხარი დაუჭირა უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიგრაციამ, რამაც გამოიწვია პროდუქციაზე და მომსახურებაზე მეტი მოთხოვნა. ამის მიუხედავად, 2023 წელს ინფლაციამ 2.5% შეადგინა, რაც საქართველოს ეროვნული ბანკის მიზნობრივ ფარგლებშია.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება იწინასწარმეტყველოს მოვლენების ყველა ის განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შედეგობრივად რა გავლენა, ასეთი არსებობის შემთხვევაში, შეიძლება ჰქონდეს მათ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის იღებს ყველა საჭირო ზომას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდაჭერისთვის.

ნინო ნოსტოლსკი

3. სააღრიცხვო პოლიტიკები

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (ფასს) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, პირვანდელი ღირებულების კონვენციის საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენება ყველა წარმოდგენილ პერიოდში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. იხილეთ მე-5 შენიშვნა.

ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ის ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენებას კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარებისას. საკითხები, რომლებიც მოიცავს უფრო მაღალი დონის ან სირთულის განსჯას, ან, შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, განმარტებულია მე-4 შენიშვნაში.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. კომპანიის სამუშაო ვალუტა არის შეერთებული შტატების დოლარი („\$“ ან „აშშ დოლარი“) შემდეგი მიზეზების გამო:

- კომპანია წარმოადგენს მშობელი კომპანიის განუყოფელ უცხოურ ქვედანაყოფს, რაც წარმოადგენს მისი საქმიანობის გაფართოებას მშობელი კომპანიისგან განსხვავებულ გარემოში; კომპანია მნიშვნელოვნად არის ურთიერთდაკავშირებული მშობელთან და ისინი მუშაობენ როგორც ერთი ბიზნესი, და არა როგორც დამოუკიდებელი ბიზნესები;
- მარაგების უმეტესი ნაწილის შეძენა ხდება მშობელი კომპანიისგან, ხოლო ფასები განისაზღვრება აშშ დოლარის გაცვლითი კურსის გათვალისწინებით. შეძენის ღირებულება ადგილობრივ ბაზარზე გაყიდვის ფასის მთავარი მამოძრავებელია.
- მეორადი მაჩვენებლები დამატებით მხარს უჭერენ აშშ დოლარის კომპანიის სამუშაო ვალუტად განსაზღვრას, რადგან საფინანსო ოპერაციების უმეტესობა დენომინირებულია აშშ დოლარში.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია აშშ დოლარში. აშშ დოლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ძირითადი საშუალებები. აღიარება და შეფასება. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის ან დაგროვილი გაუფასურების ზარალით.

თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივის თვითღირებულება შედგება მასალების, შრომითი და ნებისმიერი პირდაპირი დანახარჯებისგან, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობაში მოსაყვანად, აგრეთვე ნასესხები სახსრების ღირებულების კაპიტალიზაციის, მუხლების დემონტაჟის, მოხსნისა და ადგილმდებარეობის აღდგენის ღირებულებას. შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აღჭურვილობის ფუნქციონალურად განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, კაპიტალიზდება აღჭურვილობის ღირებულების ნაწილის სახით.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების მნიშვნელოვან ნაწილებს განსხვავებული მომსახურების ვადები აქვთ, ისინი აღირიცხება როგორც ძირითადი საშუალების ცალკე მუხლები (ძირითადი კომპონენტები).

ძირითადი საშუალებებზე ყველა დამატება თავდაპირველად აღირიცხება როგორც დაუმთავრებელი მშენებლობა და შემდგომ გადაკლასიფიცირდება შესაბამისი ძირითადი საშუალებების კატეგორიებში.

ძირითადი საშუალებების მუხლის გასვლიდან მიღებული შემოსულობები და ზარალი განისაზღვრება გასვლიდან მიღებული შემოსულობის ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აღიარდება წმინდად, მოგებაში ან ზარალში, სხვა შემოსულობაში/ სხვა ხარჯებში.

შემდგომი დანახარჯები. ძირითადი საშუალების მუხლის ჩანაცვლების ხარჯი აღიარდება მუხლის საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ მასში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოედინება, და მისი ღირებულების სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია. გამოცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მომსახურების ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ნინო ნოზიკოშვილი

ცვეთა. ძირითადი საშუალებები ექვემდებარებიან ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და მზა მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ან კომპანიის შიგნით შექმნილი აქტივებისთვის, იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი დასრულდება და გამოსაყენებლად მზად იქნება. ცვეთა ეფუძნება აქტივის თვითღირებულებას, რომელიც შემცირებულია მისი ნარჩენი ღირებულებით. ინდივიდუალური აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა აქვს, მისი ცვეთა განცალკევებით ხორციელდება.

ცვეთა აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით ძირითადი საშუალების მუხლის თითოეული ნაწილის შეფასებულ სასარგებლო მომსახურების ვადაზე, რადგან ეს მეთოდი საუკეთესოდ ასახავს აქტივის გამოყენების შედეგად მისაღები მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელ ფორმას. იჯარით აღებულ აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება იჯარის ვადასა და მათ სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უმცირესით, გარდა შემთხვევებისა როდესაც გონივრულად მოსალოდნელია, რომ კომპანია იჯარის ვადის ბოლოსთვის მიიღებს საკუთრების უფლებას. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი მუხლების შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები მიმდინარე პერიოდისთვის, შემდეგია:

	სასარგებლო მომსახურების ვადები
შენობები და სხვა ნაგებობები	5 -დან 50 წლამდე
მანქანა-დანადგარები და სავაჭრო აღჭურვილობა	2-დან 39 წლამდე
საიჯარო გაუმჯობესება	სასარგებლო მომსახურების ვადასა (2-დან 16 წლამდე) და საიჯარო ვადას შორის უმცირესი
საოფისე აღჭურვილობა	2-დან 24 წლამდე
ავტომობილები	5-დან 15 წლამდე

ცვეთის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები გადაიხედება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის და საჭიროებისამებრ კორექტირდება.

მარაგები. მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება ეფუძნება საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენისას გაწეულ ხარჯებს, მათ შორის საქონლის შესყიდვაზე აქციზის გადასახადს და სხვა დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მარაგების მოცემულ ლოკაციაში (საბითუმო გაყიდვებისთვის - საწყობის ბაზა და საცალო გაყიდვებისთვის - ბენზინგასამართი სადგურები) და მდგომარეობაში მიყვანისას. მარაგების თვითღირებულება არ მოიცავს ბენზინგასამართი სადგურების ცვეთას (მათ შორის აქტივების გამოყენების უფლებას) და ძირითადი საშუალებების ცვეთას, ასევე თანამშრომლების ხელფასისა და სარგებლის ხარჯებს, რადგან ეს ხარჯები გაწეულია ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის, ან კომპანიის სადისტრიბუციო ქსელის მუშაობისთვის, ანუ ბენზინგასამართი სადგურების მუშაობისთვის.

რეალიზაციის თვითღირებულება, პერიოდის განმავლობაში ხარჯის სახით აღიარებული მარაგების ოდენობა, შედგება ხარჯებისგან, რომლებიც ადრე მარაგების შეფასებაში იყო შეტანილი. საქმიანობის ჩვეულებრივად მიმდინარეობის პირობებში, წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მოსალოდნელ სარეალიზაციო ღირებულებას, გამოკლებული შეფასებული დასრულების და გაყიდვის ხარჯები.

ფინანსური ინსტრუმენტები აღიარება და საწყისი შეფასება. სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება მათი წარმოქმნის დროს. ყველა სხვა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანია ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მხარე.

ფინანსური აქტივი (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის წარმოადგენს სავაჭრო მოთხოვნას მნიშვნელოვანი საფინანსო კომპონენტის გარეშე) ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, რომელსაც ემატება (თუ აქტივი არ არის რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული) (FVTPL), გარიგების ხარჯები, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული მის შესყიდვასთან ან გამოშვებასთან. სავაჭრო მოთხოვნა მნიშვნელოვანი საფინანსო კომპონენტის გარეშე თავდაპირველად ფასდება გარიგების ფასით.

ნინო ნიჭიჭაყური

ფინანსური აქტივები - ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება. თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება ისევე როგორც შეფასებული: ამორტიზებული ღირებულებით; რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI) - ინვესტიცია სავალო ინსტრუმენტებში; რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI) - ინვესტიცია წილობრივ ინსტრუმენტებში; ან რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL).

პირველადი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები არ ექვემდებარება რეკლასიფიკაციას, მანამ სანამ კომპანია არ შეცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელს, რა შემთხვევაშიც ყველა ჩართული ფინანსური აქტივი რეკლასიფიცირებულია ბიზნეს მოდელის ცვლილების შემდგომ პირველი საანგარიშგებო პერიოდის პირველივე დღეს.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ორივე პირობას და არ არის გამიზნული, როგორც რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს, რომლის მიზანიც არის აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითად თანხაზე დაგროვილი დაუფარავი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.
- სავალო ინვესტიცია შეფასდება FVOCI-თ, თუ იგი აკმაყოფილებს ორივე ქვემოთ მოცემულ პირობას და არ კლასიფიცირდება როგორც FVTPL-თ შეფასებული:
- ის განეკუთვნება ბიზნეს მოდელს, რომლის მიზანიც მიიღწევა როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღებით, ასევე ფინანსური აქტივების გაყიდვით; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითად თანხაზე დაგროვილი დაუფარავი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ კლასიფიცირდება ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღირიცხება რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანიას შეუქცევადი არჩევანის უფლება აქვს, ფინანსური აქტივი, რომელიც სხვაგვარად აკმაყოფილებს ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასების კრიტერიუმებს, შეაფასოს რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით თუ ამგვარი კლასიფიკაცია მთლიანად აღმოფხვრის, ან მნიშვნელოვნად ამცირებს სააღრიცხვო შეუსაბამოებს, რომლებიც სხვაგვარად წარმოიქმნებოდა.

კომპანიის ფინანსური აქტივები მოიცავს ფინანსური აქტივების შემდეგ კატეგორიებს: სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (შენიშვნა 13) და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (შენიშვნა 14), რომლებიც ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები შემდგომ შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. ამორტიზებული ღირებულება შემცირებულია გაუფასურების ზარალით. საპროცენტო შემოსავალი, საკურსო სხვაობით განპირობებული ამონაგები და ზარალი და გაუფასურება აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ამონაგები ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებს, რომელთა დაფარვის ვადა არის სამი თვე ან ნაკლები შეძენის თარიღიდან. მათი რეალური ღირებულების ცვლილების რისკი არ არის არსებითი.

ფინანსური ვალდებულებები - კლასიფიკაცია, შემდგომი შეფასება და შემოსულობა და ზარალი. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება ისევე როგორც ფასდება - ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით თუ ის არის სავაჭროდ გამიზნული, წარმოებული ან გამიზნულია ასეთად პირველადი აღიარებისას. რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები ფასდება რეალური ღირებულებით და წმინდა შემოსულობით და ზარალით, ნებისმიერი საპროცენტო ხარჯის ჩათვლით, და აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. სხვა ფინანსური ვალდებულებები შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი და საკურსო სხვაობით განპირობებული

შემოსულობები და ზარალები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი ასევე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების მოდიფიცირება -ფინანსური აქტივები. თუ ფინანსური აქტივის პირობები მოდიფიცირებულია, კომპანიამ უნდა შეაფასოს არსებითად იცვლება თუ არა მოდიფიცირებული აქტივისგან წარმოშობილი ფულადი ნაკადები. თუ ფულად ნაკადებში არსებითი ცვლილებაა (ეგრეთ წოდებული „არსებითი მოდიფიცირება“), მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოქმნილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შემთხვევაში, თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარება წყდება და ახალი ფინანსური აქტივი აღიარდება რეალური ღირებულებით.

კომპანია ახორციელებს მოცემული მოდიფიცირების არსებითობის რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებას, ანუ არსებითად განსხვავდება თუ არა საწყისი ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადები მოდიფიცირებული ან ჩანაცვლებული ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადებისგან. კომპანია აფასებს არსებითია თუ არა მოდიფიცირება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, მოცემული თანმიმდევრობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე, ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გაველნა. თუ ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავდება, მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოქმნილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შეფასების გაკეთების დროს კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის დროს გამოყენებული პრინციპების ანალოგიური პრინციპებით ხელმძღვანელობს.

კომპანია ასკვნის, რომ მოდიფიცირება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ცვლილება ფინანსური აქტივის ვალუტაში;
- უზრუნველყოფის ან საკრედიტო გაუჯობესების ცვლილება;
- ცვლილებები ფინანსური აქტივის პირობებში, რომლებიც იწვევს შეუსაბამობას „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის დაფარვის“ (SPPI) კრიტერიუმთან (კონვერტაციის პირობის დამატება).

თუ ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული, მოდიფიცირებული აქტივისგან მიღებული ფულადი ნაკადები არ არის არსებითად შეცვლილი, მაშინ მოდიფიცირების შედეგად ფინანსური აქტივის აღიარება არ წყდება. ამ შემთხვევაში, კომპანია ხელახლა ანგარიშობს ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას და მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას წარმოქმნილ თანხას აღრიცხავს როგორც მოდიფიცირებით განპირობებულ შემოსულობას ან ზარალს მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში. ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ხელახლა გამოითვლება როგორც შეცვლილი ან მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირდება აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებას და ამორტიზდება მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის დარჩენილი ვადის განმავლობაში.

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების მოდიფიცირება -ფინანსური ვალდებულებები. კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც იცვლება მისი პირობები და არსებითად განსხვავდება მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულებისგან მიღებული ფულადი ნაკადები. ამ შემთხვევაში, ახალი, მოდიფიცირებულ პირობებზე დაფუძნებული ფინანსური ვალდებულება აღიარდება რეალური ღირებულებით. სხვაობა აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და ახალ მოდიფიცირებულ პირობებიან ფინანსურ ვალდებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ მოდიფიცირება (ან გაცვლა) არ იწვევს ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტას, კომპანია იყენებს ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკას. როდესაც მოდიფიცირება არ იწვევს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტას კომპანია აღიარებს ესეთი მოდიფიცირებიდან (ან გაცვლიდან) წარმოქმნილ, ფინანსური ვალდებულების ამორტიზირებული ღირებულების ნებისმიერ კორექტირებას, მოგებაში ან ზარალში, მოდიფიცირების (გაცვლის) თარიღში.

ცვლილებები არსებული ფინანსური ვალდებულებების ფულად ნაკადებში არ მიიჩნევა კორექტირებად, თუ ისინი წარმოიშვა არსებული სახელშეკრულებო პირობებიდან, მაგალითად ბანკის მიერ განხორციელებული

ცვლილებები ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული მთავარი განაკვეთების ცვლილების გამო, თუ სასესხო ხელშეკრულება აძლევს ბანკს ამის საშუალებას და კომპანიას აქვს საშუალება მიიღოს შეცვლილი განაკვეთი ან დაფაროს სესხი მისი ნომინალური ღირებულებით ჯარიმის გადახდის გარეშე. საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისას არსებული საბაზრო განაკვეთის შესაბამისად, კომპანია ხელმძღვანელობს მცოცავი საპროცენტო განაკვეთის ფინანსური ინსტრუმენტებით. ეს ნიშნავს, რომ შესაბამისად იცვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთიც.

კომპანია აფასებს არსებითა თუ არა მოდიფიცირება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. კომპანია ასკვნის, რომ მოდიფიცირება არსებითაა შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ცვლილება ფინანსური ვალდებულების ვალუტაში;
- უზრუნველყოფის ან საკრედიტო გაუჯობესების ცვლილება;
- კონვერტაციის პირობის დამატება;
- ფინანსური ვალდებულების სუბორდინაციის ცვლილება.

რაოდენობრივი შეფასებისას მნიშვნელოვნად იცვლება პირობები თუ ახალი პირობების მიხედვით ფულადი ნაკადების დისკონტირებული დღევანდელი ღირებულება, წმინდად გადახდილი თანხების (დისკონტირებული თავდაპირველი საპროცენტო განაკვეთით) ჩათვლით, მინიმუმ 10%-ით განსხვავდება საწყისი ფინანსური ვალდებულებიდან წარმოქმნილი ნარჩენი ფულადი ნაკადების დისკონტირებული დღევანდელი ღირებულებისგან. თუ სავალს ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების მოდიფიცირება მიჩნეულია ვალის დაფარვად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საფასური აღიარებულია ვალის დაფარვისას მიღებულ შემოსულობაში ან ზარალში. თუ გაცვლა ან მოდიფიცირება არ არის მიჩნეული ვალის დაფარვად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საფასური აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზირებულია მოდიფიცირებული ვალდებულების დარჩენილი ვადის განმავლობაში.

აღიარების შეწყვეტა-ფინანსური აქტივები. კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს გასდის ვადა, ან ის გადასცემს გარიგებიდან მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებზე უფლებებს, გარიგებაში, რომელშიც ფინანსური აქტივის ფლობის თითქმის ყველა რისკი და ანაზღაურება არის გადაცემული, ან როდესაც კომპანია არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკებს და სარგებელს და კომპანია არ ინარჩუნებს ფინანსურ აქტივზე კონტროლს.

კომპანია დებს გარიგებებს, რომლითაც ის გადასცემს მისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებულ აქტივებს, მაგრამ ინარჩუნებს გადაცემულ აქტივებთან დაკავშირებულ ყველა ან არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს. ასეთ შემთხვევებში, გადაცემული აქტივის აღიარება არ წყდება.

აღიარების შეწყვეტა-ფინანსური ვალდებულებები. კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როდესაც მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები სრულდება, უქმდება ან ვადა გასდის. კომპანია ასევე წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როცა მისი პირობები არის მოდიფიცირებული და მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულებიდან მიღებული ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად განსხვავდება, რა შემთხვევაშიც მოდიფიცირებულ პირობებზე დაფუძნებული ახალი ფინანსური ვალდებულება აღიარდება მისი რეალური ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას გაუქმებულ საბალანსო ღირებულებას შორის და გადახდილ თანხას შორის სხვაობა (ნებისმიერი არაფულადი აქტივების გადაცემის და ნაკისრი ვალდებულებების ჩათვლით) აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებები დაირიცხება მაშინ, როდესაც კონტრაქტის ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს და თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდგომში აისახება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები შეიძლება იყოს ურთიერთ გადაფარული და წმინდა ოდენობა წარმოადგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ როდესაც კომპანიას აქვს იურიდიული ურთიერთგადაფარვის აღსრულების უფლება, და ის აპირებს მათ ანგარიშსწორებას წმინდა საფუძველზე ან აქტივის რეალიზებით და ვალდებულების

ნინო ნიწყოლაყური

იმავედროულად ანგარიშსწორებით.

გაუფასურება - არა-წარმოებული ფინანსური აქტივები - ფინანსური ინსტრუმენტები. კომპანია აღიარებს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხებს:

კომპანია ზარალის ანარიცხებს აფასებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი ოდენობით, შემდეგი შემთხვევების გარდა, როდესაც ფასდება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით:

- სავალო ფასიანი ქაღალდები, რომლებსაც საანგარიშგებო თარიღისთვის დაბალი საკრედიტო რისკი აქვთ; და
- სხვა სავალო ფასიანი ქაღალდები და საბანკო ნაშთები, რომლებსაც საკრედიტო რისკი (ანუ ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა) არსებითად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარების შემდეგ.

ზარალის ანარიცხები სავალო მოთხოვნებზე და სახელშეკრულებო აქტივებზე ყოველთვის ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი ოდენობით.

ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარებისას საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის დასადგენად და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს გონივრულ და დასაბუთებულ ინფორმაციას, რომელიც შესაბამისი და ხელმისაწვდომია ზედმეტი ხარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე. ეს მოიცავს როგორც ხარისხობრივ ისე რაოდენობრივ ინფორმაციას და ანალიზს, კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ინფორმირებული საკრედიტო შეფასების და საპროგნოზო ინფორმაციის გათვალისწინებით.

კომპანია ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდად მიიჩნევს როდესაც მას 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება აქვს.

კომპანია ფინანსური აქტივის დეფოლტს განიხილავს მაშინ, როდესაც:

- არ არის სავარაუდო რომ მსესხებელი სრულად დაფარავს თავის საკრედიტო ვალდებულებებს კომპანიის მიმართ, კომპანიის მიერ უზრუნველყოფის რეალიზაციის გარეშე (ასეთის არსებობის შემთხვევაში); ან
- ფინანსური აქტივი 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებულია.

კომპანია მიიჩნევს, რომ სესხის უზრუნველყოფას დაბალი საკრედიტო რისკი აქვს, როდესაც მისი საკრედიტო რეიტინგი ტოლია გლობალურად მიღებული განმარტების- „საინვესტიციო ხარისხი“.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი რომელიც წარმოიქმნება ნებისმიერი შესაძლო დეფოლტის მოვლენებისგან ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის ვადის განმავლობაში.

12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ის ნაწილი, რომელიც წარმოიქმნება საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში შესაძლო დეფოლტის მოვლენებისგან (ან უფრო მოკლე ვადაში თუ ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის ვადა 12 თვეზე ნაკლებია).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას გამოყენებული მაქსიმალური პერიოდი შეესაბამება მაქსიმალურ სახელშეკრულებო პერიოდს, რომლის განმავლობაშიც კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს.

არა-წარმოებული ფინანსური აქტივები - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის საკრედიტო ზარალების ალბათობით შეწონილი შეფასება. საკრედიტო ზარალი ფასდება ყველა ფულადი დანაკლისის დღევანდელი ღირებულებით (ანუ სხვაობა საწარმოდან ხელშეკრულების მიხედვით მიღებულ ფულად ნაკადებსა და მოსალოდნელ მისაღებ ფულად ნაკადებს შორის). მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დისკონტირდება ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ნინო ნოზოცაყური

არა-წარმოებული ფინანსური აქტივები - საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივები. ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, კომპანია აფასებს საკრედიტო რისკით გაუფასურდა თუ არა ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული სავალო ფასიანი ქაღალდები. ფინანსური აქტივი „გაუფასურებულია საკრედიტო რისკით“ როდესაც ფინანსური აქტივის სამომავლო ფულად ნაკადებზე საზიანო გავლენის მქონე ერთ ან მეტ მოვლენას ჰქონდა ადგილი. ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკით გაუფასურების მტკიცებულებები მოიცავს შემდეგ დაკვირვებად მონაცემებს:

- გამსესხებლის ან მსესხებლის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები;
- ხელშეკრულების დარღვევა, მაგალითად დეფოლტი ან 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
- კომპანიის მიერ წინსწრების ან სესხის რესტრუქტურისა იმ პირობებით, რომლებსაც კომპანია სხვა შემთხვევაში არ განიხილავდა;
- მოსალოდნელია მსესხებლის მიერ გაკოტრების პროცედურის, ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესის დაწყება; ან
- უზრუნველყოფის აქტიური ბაზრის გაქრობა ფინანსური სირთულეების გამო.

არა-წარმოებული ფინანსური აქტივები - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხის წარდგენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. ზარალის ანარიცხები ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის აკლდება აქტივების მთლიან საბალანსო ღირებულებას. რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული სავალო ფასიანი ქაღალდებისთვის, ზარალის ანარიცხი დარიცხულია მოგებაზე ან ზარალზე და აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში.

არა-წარმოებული ფინანსური აქტივები - ჩამოწერა. ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება, როდესაც კომპანიას არ გააჩნია ფინანსური აქტივის მთლიანად ან ნაწილობრივ ანაზღაურების გონივრული მოლოდინი. ინდივიდუალური მომხმარებლებისთვის, კომპანიას განსაზღვრული აქვს ბრუტო საბალანსო ღირებულების ჩამოწერის პოლიტიკა, როდესაც ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულია 180 დღეზე მეტით, მსგავსი აქტივების ანაზღაურების ისტორიული გამოცდილების საფუძველზე. კორპორაციული მომხმარებლების შემთხვევაში, კომპანია ახორციელებს ვადებისა და ჩამოწერის ოდენობების ინდივიდუალურ შეფასებას, იმის გათვალისწინებით, არსებობს თუ არა ანაზღაურების გონივრული მოლოდინი. კომპანია არ მოელის მნიშვნელოვანი ოდენობის ანაზღაურებას ჩამოწერილი თანხიდან. თუმცა, ჩამოწერილი ფინანსური აქტივები შეიძლება მაინც გახდეს სააღსრულო საქმიანობის საგანი იმისათვის, რომ შესაბამისობაში მოვიდეს კომპანიის თანხების ანაზღაურების პროცედურებთან.

არაფინანსური აქტივები. კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება, მარაგების გარდა, განიხილება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის, იმისათვის, რომ დადგინდეს არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება. გაუფასურების ზარალი აღიარდება თუ აქტივის და მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებას.

გაუფასურების დადგენის მიზნით, აქტივები, რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც იწვევს ფულადი ნაკადების წარმოქმნას უწყვეტი სარგებლობიდან და რომლებიც დიდწილად დამოუკიდებელი არიან სხვა აქტივების ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ფულადი სახსრების შემოძინებისგან.

აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და რეალურ ღირებულებას (რაც შემცირებულია გაყიდვის ხარჯებით) შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შეფასებისას, სამომავლო, შეფასებული ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ დღევანდელ ღირებულებამდე, გადასახადების გადახდამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რაც ასახავს მიმდინარე საბაზრო შეფასებას ფულის დროითი ღირებულებისა და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. გაუფასურების ზარალი აღიარდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ჯგუფის) აქტივების საბალანსო ღირებულების შესამცირებლად პროპორციულობის საფუძველზე.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის, ნებისმიერ მინიშნებაზე, რომ ზარალი შემცირდა ან აღარ არსებობს. გაუფასურების ზარალის აღდგენა ხდება,

თუ ადგილი აქვს ცვლილებას ანაზღაურებადი თანხის განსაზღვრებაში გამოყენებულ შეფასებებში, გაუფასურების ზარალი აღდგენას ექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას (ცვეთის ან ამორტიზაციის გამოკლებით), რაც იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ გაუფასურების ზარალი არ იქნებოდა აღიარებული.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის გაცხადებული საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის აქციონერის მიერ. კომპანიის წესდებაში ცვლილებები უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის აქციონერის გადაწყვეტილების საფუძველზე.

იჯარები. კომპანიამ ფასს 16-ი მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით გამოიყენა და მაშასადამე, შესაძარის ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული და კვლავ ბასს 17-ის და ფასიკ 4-ის ფარგლებში არის წარმოდგენილი. ხელშეკრულების დადებისას, კომპანია განსაზღვრავს არის თუ არა ან მოიცავს თუ არა აღნიშნული ხელშეკრულება იჯარას. ხელშეკრულება არის ან შეიცავს იჯარას თუ ის გადასცემს კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას დროის გარკვეული პერიოდით გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ.

როგორც მოიჯარე. საიჯარო კომპონენტის შემცველი ხელშეკრულების დადების ან მისი ცვლილების დროს, კომპანია ხელშეკრულებაში მოცემულ ანაზღაურებას თითოეულ საიჯარო კომპონენტზე ანაწილებს მისი შესაბამისი, ინდივიდუალური ფასის მიხედვით. თუმცა, საკუთრების იჯარებისთვის კომპანია ირჩევს არ განავალდებოდეს არასაიჯარო კომპონენტები და აღრიცხოს საიჯარო და არასაიჯარო კომპონენტები ერთიანი საიჯარო კომპონენტის სახით.

კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას იჯარის დაწყების თარიღისთვის. აქტივის გამოყენების უფლება თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ ოდენობას, რომელიც კორექტირებულია ნებისმიერი საიჯარო გადახდებით, რომლებიც დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელდა, დამატებული ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირ გაწეული ხარჯები და აქტივის დემონტაჟისა და შესაბამისი აქტივის გატანის ან მისი აღდგენის ან იმ ტერიტორიის აღდგენის ხარჯები სადაც აღნიშნული აქტივი მდებარეობდა, შემცირებული ნებისმიერი მიღებული იჯარის წამახალისებლით.

შემდგომ ხდება აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის დაწყებიდან მისი დასრულების თარიღამდე, გარდა შემთხვევებისა როდესაც იჯარა კომპანიას გადასცემს შესაბამისი აქტივის მფლობელობას იჯარის ვადის ბოლოს, ან იმ შემთხვევაში თუ აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება ასახავს კომპანიის მხრიდან შესყიდვის ოფციონის გამოყენებას. ამ შემთხვევაში მოხდება აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა შესაბამისი აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის მანძილზე, რომელიც ძირითადი საშუალებების მსგავს საფუძველზე განისაზღვრება. ამასთანავე, აქტივის გამოყენების უფლება პერიოდულად შემცირებულია გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და კორექტირდება საიჯარო ვალდებულების კონკრეტული გადაფასებებით.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად ფასდება იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულებით, რომლებიც არ არის გადახდილი დაწყების თარიღისათვის, დისკონტირებულია იჯარაში ჩართული საპროცენტო განაკვეთით ან, თუ აღნიშნული განაკვეთის განსაზღვრა დროულად ვერ ხერხდება, კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთით. ზოგადად, კომპანია დისკონტირების განაკვეთად მის ზღვრულ სასესხო განაკვეთს იყენებს.

კომპანია მის ზღვრულ სასესხო განაკვეთს განსაზღვრავს სხვადასხვა გარე დაფინანსების წყაროებიდან საპროცენტო განაკვეთების მოპოვების გზით და აკეთებს გარკვეულ კორექტირებებს იჯარის პირობების და იჯარით აღებული აქტივის სახეობის ასახვის მიზნით.

კომპანიამ აირჩია გამოიყენოს ერთი დისკონტირების განაკვეთი მსგავსი მახასიათებლების მქონე იჯარების პორტფელზე. კომპანიამ აირჩია გამოიყენოს პორტფელის აღრიცხვა მსგავსი მახასიათებლების მქონე იჯარებისთვის.

საიჯარო ვალდებულების შეფასებაში შეტანილი საიჯარო გადახდები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს, მათ შორის არსებითად ფიქსირებულ გადასახდელებს.

საიჯარო ვალდებულება შემდგომ გაზრდილია საპროცენტო ხარჯით საიჯარო ვალდებულებაზე და შემცირებულია განხორციელებული საიჯარო გადახდებით. საიჯარო ვალდებულება ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. ის ხელახლა შეფასდება,

თუ კომპანია შეცვლის იმის შეფასებას გამოყენებს თუ არა ის შესყიდვის, გახანგრძლივების ან შეწყვეტის ოფციონს, ან არსებობს თუ არა გადასინჯული არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადასახდელები.

როდესაც საიჯარო ვალდებულება მსგავსი გზით ხელახლა შეფასდება, ხდება აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულების შესაბამისი კორექტირება, ან აღირიცხება მოგებაში ან ზარალში თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება შემცირებულია ნულამდე. საიჯარო ვადა ასახავს კომპანიის იმ პერიოდის დასაბუთებულ შეფასებას, რომლის განმავლობაშიც შესაბამისი აქტივი იქნება გამოყენებული. საიჯარო ვადის განსაზღვრისას კომპანია აფუძნებს მის განსჯას ხელშეკრულების და შესაბამისი აქტივის ფართო ეკონომიკაზე და არა მხოლოდ სახელშეკრულებო პირობებზე, რაც იძლევა საშუალებას, რომ ფაქტორები, როგორებიცაა ეკონომიკური ჯარიმები, საკანონმდებლო მიდგომა იჯარის განახლებაზე, მოსალოდნელი ცვლილებები რეგულაციაში და კომპანიის სამომავლო ბიზნეს გეგმები ეფექტურად იყოს ასახული საიჯარო ვადის შეფასებაში.

მოკლევადიანი იჯარები და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარები. კომპანიამ აირჩია არ აღიაროს აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებისთვის და მოკლევადიანი იჯარებისთვის. კომპანია აღნიშნულ იჯარებთან დაკავშირებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს ხარჯის სახით წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის ვადის განმავლობაში.

მიღებული ავანსები და გადავადებული ამონაგები. მიღებული ავანსები მომხმარებლებზე საწვავის გაყიდვებს უკავშირდება. მიღებული ანაზღაურება თავდაპირველად აღიარდება ვალდებულების სახით, როდესაც კლიენტები ახორციელებენ გადახდებს, ხოლო ამონაგები აღიარდება, როდესაც ხდება საწვავის შეძენა სადგურებზე. გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარებასთან დაკავშირებული სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ.

ანარიცხები. ანარიცხების აღიარება ხდება, როცა კომპანიას აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად, რომლის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია და სავარაუდოა, რომ ვალდებულებების დაფარვას დასჭირდება ეკონომიკური სარგებლის გადინება. ანარიცხები განისაზღვრება მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების გადასახადებამდე არსებული განაკვეთით დისკონტირების მეშვეობით, რაც ასახავს ფულის დროით ღირებულების და, ვალდებულებისთვის დამახასიათებელი რისკების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს. დისკონტის პოზიციის დახურვა აღიარდება ფინანსური ხარჯის სახით.

ამონაგების აღიარება. ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის შედეგად. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე. შემოსავალი აღიარდება ფასდათმობების, უკუგებისა და დღგ-ს გარეშე.

საქონლის გაყიდვა. კომპანიის მომხმარებლები შეიძლება დაიყოს: საცალო ქსელის მომხმარებლებად და საბითუმო მომხმარებლებად. გაყიდვა აღიარდება საქონელზე კონტროლის გადაცემისას, ანუ როდესაც საქონელი მიეწოდება მომხმარებელს, მომხმარებელს სრული კონტროლი აქვს საქონელზე და არ არსებობს შეუსრულებელი მოვალეობა, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მომხმარებლის მიერ საქონლის მიღებაზე. მიწოდება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი მიწოდებული იქნება კონკრეტულ ადგილზე, მოძველებისა და დაკარგვის რისკები მომხმარებელს გადაეცემა, მომხმარებელი მიიღებს საქონელს ხელშეკრულების შესაბამისად, ან მიღების ვადა ამოიწურება, ან კომპანიას ობიექტური მტკიცებულება აქვს, რომ მიღებისთვის საჭირო ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.

გაყიდვები ფასდათმობით აღიარდება ხელშეკრულებაში მითითებული ფასის საფუძველზე, შეფასებული მოცულობითი ფასდათმობის გამოკლებით.

მიიჩნევა, რომ დაფინანსების ელემენტი არ არსებობს რადგან კომპანიის გაყიდვების მნიშვნელოვანი ნაწილი ხორციელდება ან წინასწარი გადახდის პირობებით, ან მათი ანგარიშსწორება ხდება საქონელზე კონტროლის გადაცემის ადგილზე. ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება შეთანხმებული ყოფილიყო გადახდის გადავადებული პირობები, თუმცა გადავადება არასოდეს აღემატება თორმეტ თვეს, შესაბამისად, დაფინანსების არც ერთი ელემენტი არ ითვლება არსებულად და გარიგების ფასი არ კორექტირდება მნიშვნელოვანი დაფინანსების კომპონენტის გავლენისათვის.

ინო ზოსყოლაყი

მოთხოვნა აღიარდება საქონლის მიწოდებისას, რადგან ეს არის დროის მომენტი, როდესაც ანაზღაურების მიღება უპირობოა, რადგან გადახდის განხორციელების ვადის დადგომამდე მხოლოდ დროის გასვლაა საჭირო.

ფიქსირებულ ფასიანი გაყიდვის ხელშეკრულების შემთხვევაში, როდესაც მომხმარებელი წინასწარ იხდის თანხას გადახდის გრაფიკის მიხედვით, გადავადებული შემოსავალი აღიარდება, თუ გადახდები აღემატება მოწოდებულ საქონელს.

მომხმარებელთა ერთგულების პროგრამა. კომპანია ამუშავებს ერთგულების პროგრამას ორივე ტიპის მომხმარებლებისათვის, რომლის ფარგლებში მომხმარებლებს ენიჭებათ სამომავლო შესყიდვებზე ფასდათმობების მიღების უფლება, რაც დაფუძნებულია მანამდე განხორციელებულ შესყიდვებზე. ფასდაკლებების შესაფასებლად და უზრუნველსაყოფად გამოიყენება დაგროვილი გამოცდილება მოსალოდნელი ღირებულების მეთოდის საფუძველზე, ხოლო ამონაგები აღიარდება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ ადგილი არ ექნება მნიშვნელოვან გაუქმებას. გადავადებული ამონაგები (რომელიც შესულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში) მომხმარებელთათვის მოსალოდნელი მოცულობითი ფასდაკლების ვალდებულებისთვის აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლომდე განხორციელებულ გაყიდვებთან დაკავშირებით.

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები. კომპანიის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები მოიცავს:

- საპროცენტო ხარჯებს;
- საპროცენტო შემოსავალს საბანკო ნაშთებზე;
- ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე სავალუტო შემოსულობებს და ზარალს;
- ჯარიმებს დაგვიანებული გადახდებისთვის.

საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს შეფასებულ სამომავლო ფულად გადახდებს ან შემოსულობებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის მიხედვით:

- ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება; ან
- ფინანსური ვალდებულების ამორტიზირებული ღირებულება.

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის გამოთვლისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე (როდესაც აქტივი არ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული) ან ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებაზე. თუმცა, ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც თავდაპირველი აღიარების შემდგომ გაუფასურდა საკრედიტო რისკით, საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე გამოყენების მეშვეობით. თუ აქტივი აღარ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული, მაშინ საპროცენტო შემოსავლის გამოთვლა უზრუნველდება მთლიან საბალანსო ღირებულებაზე დათვლის მეთოდს.

სავალუტო შემოსულობები და ზარალი წარმოდგენილია წმინდა საფუძველზე, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, რაც დამოკიდებულია იმ ფაქტზე, წარმოდგენილია თუ არა უცხოური ვალუტის მოძრაობა წმინდა მოგების ან წმინდა ზარალის პოზიციაში.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაყვანილია ოპერაციების თარიღის შესაბამისი გაცვლითი კურსის გამოყენებით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება კომპანიის სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. სავალუტო შემოსულობა ან ზარალი ფულად მუხლებზე წარმოდგენს სხვაობას პერიოდის დასაწყისში არსებულ სამუშაო ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებასა (კორექტირებულს ეფექტური პროცენტით და გადახდებით პერიოდის განმავლობაში) და უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას შორის, რომელიც კონვერტირებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც რეალური

ნინო ზონტოყაყი

ღირებულების საფუძველზე ფასდება, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში რეალური ღირებულების დადგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი ერთეულები, რომლებიც ფასდება პირვანდელი ღირებულებით, კონვერტირდება გარიგების თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოქმნილი სხვაობები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები. დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და ხარჯად აღირიცხება შესაბამისი მომსახურების გაწევისას. ვალდებულება აღიარდება თანხისთვის, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ან მოგების განაწილების გეგმის ფარგლებში, თუ კომპანიას ექნება მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს აღნიშნული თანხა დასაქმებულის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების შედეგად, და როდესაც ამ ვალდებულების საწარმოდ შეფასება შესაძლებელია.

იმდენად, რამდენადაც კომპანიის მიერ სოციალურ პროგრამებში განხორციელებულ შენატანებს საზოგადოებისთვის სარგებლის მოტანა შეუძლია და არ შემოიფარგლება მხოლოდ კომპანიის თანამშრომლებით, ისინი აღიარდება მოგებაში ან ზარალში მათი გაწევისთანავე.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს. მიმდინარე გადასახადი. მიმდინარე გადასახადის ხარჯი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება, საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ან არსებითად ამოქმედებულია საანგარიშგებო თარიღისათვის, ასევე მოიცავს წინა წლების საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერ კორექტირებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება აგრეთვე მოიცავს დივიდენდებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას დაბეგვრადი მოგების გამოუმუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და მოქმედებს საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა საფინანსო დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა მოგვიანებით.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამოუმუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას, როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა მოგების განაწილებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. ამასთან საგადასახადო ობიექტი მოიცავს ხარჯებსა და სხვა გადახდებს, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, როგორებიც არის უფასო მიწოდებები და ზღვრულ მოცულობაზე მეტი წარმომადგენლობითი ხარჯები.

საგადასახადო ანაზღაურება ხელმისაწვდომია 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე გადახდილ მიმდინარე გადასახადზე, თუ ასეთი მოგება განაწილდება 2017 წელს ან შემდეგ წლებში. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი კორპორაციული მოგების გადასახადი ხარჯად აღირიცხება დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტიური გადახდის თარიღისა ან იმ პერიოდისა რომლისთვისაც გადახდილია დივიდენდი.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს მოგების გადასახადის იმ კონკრეტულ ოპერაციებზე დარიცხვას, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებები და ნებადართულ ზღვარზე მეტი წარმომადგენლობითი ხარჯები. კომპანია ამგვარი ოპერაციების დაბეგვრას ბასს 12-ის (მოგების გადასახადები) ფარგლებს გარეთ განიხილავს და მსგავს მუხლებზე გადასახადს აღრიცხავს, როგორც მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადებს.

გადავადებული გადასახადი. ზემოთ აღწერილი ახალი საგადასახადო სისტემის ხასიათიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებული საწარმოები არ განასხვავებენ აქტივების და ვალდებულებების

ნინო ნიჭილაძე

საგადასახადო საფუძვლებს და მათ საბალანსო ღირებულებებს და, შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებების წარმოქმნა არ ხდება.

წინა პერიოდებში დარიცხული საგადასახადო ზარალი არ გამოიყენება მომავალ დაბეგვრად მოგებებთან მიმართებაში.

დამატებული ღირებულების გადასახადი. წარმოებულ ღირებულებაზე დამატებითი გადასახადი, დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილი უნდა იქნეს საქონლის ან მომსახურების კლიენტებისათვის მიწოდებისას. საზოგადოდ, გადასახადელი დღე ამოღებულია ჩასათვლელი დღე-ის საპირისპიროდ, დღე-ის ანგარიშგაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღე-ის ჩათვლა ნეტო საფუძველზე. როდესაც მოთხოვნის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის ანარიცხია შექმნილი, მაშინ გაუფასურების ზარალი აღირიცხება მსესხებლის მთლიანი (ბრუტო) თანხით, მათ შორის დღე-თი.

გაურკვეველი საგადასახადო პოზიცია. ხელმძღვანელობა კომპანიის გაურკვეველ საგადასახადო პოზიციას ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადისთვის, რაც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, რომ უფრო მეტად სავარაუდოა, რომ გამოიწვევს დამატებითი გადასახადების დაკისრებას საგადასახადო ორგანოების მხრიდან კითხვები რომ დაისვას. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ძალაშია ამჟამად ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საუბრებთან, პროცენტთან და მოგების გარდა სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე. გაურკვეველი საგადასახადო პოზიციის კორექტირება აღირიცხება მოგების გადასახადის ხარჯში.

ცვლილებები ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ ნებისმიერი ცვლილების შეტანა უნდა დამტკიცდეს იმ ხელმძღვანელობის მიერ, რომელმაც ის გამოსაშვებად დაამტკიცა.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფას-ების შესაბამისად მოითხოვს ხელმძღვანელობის მიერ განსჯის, შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაზე და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ანგარიშგებულ ოდენობებზე. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან.

შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგების აღიარება ხდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზეც მათ ექნებათ გავლენა.

ინფორმაცია იმ სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებასთან დაკავშირებული კრიტიკული განსჯის შესახებ, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, განსაზღვრულია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 1 - აქციონერ ჯგუფზე დამოკიდებულება;
- შენიშვნა 3- კომპანიის სამუშაო ვალუტის განსაზღვრა.

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების საწყისი აღიარება. ჩვეულებრივი საქმიანობისას კომპანია ახორციელებს ოპერაციებს თავის დაკავშირებულ მხარეებთან. IFRS 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარებას, მათი რეალური ღირებულების საფუძველზე. როდესაც არ არსებობს აქტიური ბაზარი მსგავსი ოპერაციებისათვის, განსჯა გამოიყენება იმის განსაზღვრისათვის, გარიგებები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით ხორციელდება თუ არასაბაზრო განაკვეთებით.

განსჯა ეფუძნება არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასებს და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს. დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთების პირობები აღწერილია 21-ე შენიშვნაში.

ნილო ნაშთი

მოგების გადასახადი. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციას და ცვლილებები ხშირად ხდება. გარდა ამისა, საგადასახადო ორგანოების მიერ საგადასახადო კანონმდებლობის განმარტება, რომელიც გამოიყენება კომპანიის ოპერაციებსა და საქმიანობაზე, შეიძლება არ ემთხვეოდეს მენეჯმენტის ინტერპრეტაციას. შედეგად, საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება გაასაჩივრონ ოპერაციები და შეიძლება შეფასდეს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები, რომლებიც შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისი ინტერპრეტაცია სათანადოა და სავარაუდოა, რომ კომპანიის საგადასახადო და საბაჟო პოზიციები შენარჩუნდება.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი, ძირითადად, გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა, მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავებენ ჯგუფისათვის. გათვალისწინებულ იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და მოვლა-შენახვის პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები 10%-ით რომ იყოს განსხვავებული ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან, 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ცვეთაზე გავლენა იქნებოდა მისი გაზრდა 180 ათასი დოლარით ან მისი შემცირება 45 ათასი დოლარით (2022 წ. გაზრდა 193 ათასი დოლარი ან შემცირება 158 ათასი დოლარი).

აქტივების გამოყენების უფლების გაუფასურება. იჯარის პირობების განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა ივალისწინებს ყველა იმ ფაქტსა და გარემოებას, რომელიც ქმნის ეკონომიკურ წამახალისებელს გაგრძელების ოფციონის გამოსაყენებლად ან შეწყვეტის ოფციონის არ გამოსაყენებლად. გაგრძელების ოფციონი (ან შეწყვეტის ოფციონის შემდგომი პერიოდი) იჯარის პირობებშია შეყვანილი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გონივრული რწმუნება იმისა, რომ იჯარა გაგრძელდება (ან არ შეწყდება).

ბენზინი გასამართი სადგურებისა და შენობების იჯარისთვის, ტიპურად, შემდეგი ფაქტორებია ყველაზე შესაბამისი:

- თუ კომპანიის სტრატეგია გაფართოებაა, ჩვეულებრივ, კომპანიას გააჩნია გონივრული რწმუნება იჯარის გაგრძელებაზე (ან არ შეწყვეტაზე).
- თუ არსებობს მნიშვნელოვანი ჯარიმები შეწყვეტაზე (არ გაგრძელებაზე), ჩვეულებრივ, კომპანიას აქვს გონივრული რწმუნება იჯარის გაგრძელებაზე (არ შეწყვეტაზე).

სხვაგვარად, კომპანია ითვალისწინებს სხვა ფაქტორებს, მათ შორის ისტორიული იჯარის განგრძობითობას და ხარჯებს და იჯარით გაცემული აქტივის ჩასანაცვლებლად წარმოების ნორმალური სვლის რღვევას. გაგრძელების ოფციონების უმეტესობა ბენზინი გასამართი სადგურებისა და შენობების იჯარებში არ იყო შეტანილი იჯარის ვალდებულებაში, იმიტომ, რომ კომპანიას შეეძლო აქტივების ჩანაცვლება მნიშვნელოვანი ხარჯის გაწევის ან მისი საქმიანობის ნორმალური სვლის რღვევის გარეშე.

იჯარის ვალდებულებების განსაზღვრად გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები. კომპანია იყენებს მისი ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს, როგორც დისკონტირების განაკვეთის გამოთვლის საფუძველს, იმიტომ, რომ იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი არ შეიძლება ადვილად განისაზღვროს.

2023 წლის 31 დეკემბერს დისკონტირების განაკვეთში 10%-იანი ზრდა ან შემცირება გამოიწვევდა იჯარის ვალდებულებებში ზრდას ან შემცირებას 50 ათასი დოლარის ოდენობით (2022 წელი: 347 ათასი დოლარი).

ნინო ნოზიკოყრი

5. ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

შემდეგი ცვლილებები ძალაში შევიდა 2023 წლის 1 იანვრიდან:

- შპს რომპეტროლ საქართველომ პირველად მიიღო ბასს 1-ში ცვლილებები მიმდინარე წელს. შესწორებებით მოხდა ბასს 1 სტანდარტით მოცემული, სააღრიცხვო პოლიტიკების განმარტების მოთხოვნის შეცვლა. ტერმინი „მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები“ ყველგან ჩანაცვლდა ტერმინით „არსებითი ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის თაობაზე“. „ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის თაობაზე“ არსებითია, თუ, სუბიექტის ფინანსურ ანგარიშგებაში შესულ სხვა ინფორმაციასთან ერთად აღებული, ის დიდი ალბათობით ზეგავლენას მოახდენს იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც ზოგადი დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლები მათ საფუძველზე იღებენ. ბასს 1-ის დამხმარე აზრები ასევე შესწორებულია იმის გასარკვევად, რომ ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის თაობაზე, რომელიც ეხება არამატერიალურ ოპერაციებს, სხვა მოვლენებს ან პირობებს არამატერიალურია და არ საჭიროებს გამჟღავნებას. ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის თაობაზე შეიძლება იყოს მატერიალური დაკავშირებული ტრანზაქციების ხასიათის, სხვა მოვლენების ან პირობების გამო, მაშინაც კი, თუ თანხები არამატერიალურია. თუმცა, ყველა ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის თაობაზე, რომელიც ეხება მატერიალურ ტრანზაქციებს, სხვა მოვლენებს ან პირობებს თავისთავად მატერიალურია.
- შპს რომპეტროლ საქართველომ ბასს 8 სტანდარტის შესწორებები პირველად მიმდინარე წელს გამოიყენა. შესწორებებით სააღრიცხვო შეფასების ცვლილების განმარტება ჩანაცვლდა სააღრიცხვო შეფასების განმარტებით, რომლის მიხედვით, სააღრიცხვო შეფასებები არის „ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული ფულადი ოდენობები, რომლებზეც მოქმედებს შეფასების განუსაზღვრელობა“. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების განსაზღვრება ამოღებული იქნა.

ახალი და რედაქტირებული ფასს სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა:

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისათვის, შპს რომპეტროლ საქართველოს არ გამოუყენებია შემდეგი ახალი და რედაქტირებული ფასს სტანდარტები, რომლებიც, მართალია, გამოიცა, მაგრამ ბოლომდე ძალაში არ შესულა:

შესწორებები ფასს 16-ში	საიჯარო ვალდებულება გაყიდვაში და დაბრუნებისას
შესწორებები ფასს 7-სა და ბასს 7-ში	მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებები
შესწორებები ბასს 1-ში	გრძელვადიანი ვალდებულებები შეთანხმებებით
შესწორებები ბასს 1-ში	ვალდებულებების კლასიფიკაცია, როგორც მიმდინარე ან გრძელვადიანი
შესწორებები ფასს 10-სა და ბასს 28-ში	ინვესტორსა და მის ასოცირებულ ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვა ან კონტრიბუცია

შპს რომპეტროლ საქართველოს მენეჯმენტი არ ელის, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სტანდარტების გამოყენებას მნიშვნელოვანი ზეგავლენა ექნება მომავალი პერიოდების კომპანიის ფინანსურ ინფორმაციაზე.

შპს რომპეტროლ საქართველო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები – 2023 წლის 31 დეკემბერი (გაგრძელება)
(თანხები გამოსახულია ათასობით აშშ დოლარში)

6. ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

კომპანია ამონაგებს გამოიმუშავებს საქონლის დროის გარკვეულ მონაკვეთში გადაცემისგან, ამონაგების შემდეგ ძირითადად ნაკადებში:

ათასი აშშ დოლარი	2023	2022
ამონაგები საწვავის საცალო ვაჭრობიდან*	172,037	212,916
ამონაგები საწვავის საბითუმო ვაჭრობიდან	60,673	123,501
ამონაგები გაყიდვებიდან მაღაზიებში	58	60
სულ	232,768	336,477

* საწვავის საცალო გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი მოიცავს საწვავის გაყიდვას კუპონებით 4,712 ათასი აშშ დოლარის ოდენობით (2022: 6,271 ათასი აშშ დოლარი).

სახელშეკრულებო ნაშთები

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია ინფორმაცია მოთხოვნებისა და სახელშეკრულებო ვალდებულებების შესახებ მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან.

ათასი აშშ დოლარი	შენიშვნა	2023	2022
სავაჭრო მოთხოვნები		5,213	4,301
მიღებული ავანსები	18	(1,078)	(1,385)
გადავადებული ამონაგები		(730)	(803)

7. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

ათასი აშშ დოლარი	2023	2022
რეალიზებული საწვავის თვითღირებულება	215,877	321,376
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	100	160
სულ	215,977	321,536

8. დისტრიბუციის ხარჯები

ათასი აშშ დოლარი	2023	2022
ცვეთის ხარჯი	4,775	5,587
დასაქმებულთა გასამრჯელოების და სარგებლის ხარჯი	4,048	4,134
ქირავნობის ხარჯი	866	513
რემონტისა და მოვლა-შენახვის ხარჯი	516	422
კომუნალური ხარჯები	270	324
სხვა	312	437
სულ	10,787	11,417

ნინო წონჯოლაყერი

შპს რომპეტროლ საქართველო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები – 2023 წლის 31 დეკემბერი (გაგრძელება)
(თანხები გამოსახულია ათასობით აშშ დოლარში)

9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ათასი აშშ დოლარი	2023	2022
ბანკის საკომისიო	1,644	1,448
პროგრამული უზრუნველყოფის ტექნიკური მომსახურება	1,562	1,445
დასაქმებულთა გასამრჯელოების და სარგებლის ხარჯი	1,006	1,264
პროფესიული მომსახურების ხარჯი	351	305
ცვეთის ხარჯი	254	331
ხელმძღვანელობის მომსახურების საფასური	207	70
ამორტიზაციის ხარჯი	72	113
იჯარის ხარჯი	57	241
სხვა	715	831
სულ	5,868	6,048

პროფესიული მომსახურების ხარჯი მოიცავს 33 ათას აშშ დოლარს (2022 წელს: 29 ათასი აშშ დოლარი) - აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ გაწეული აუდიტორული მომსახურებისთვის გადახდილი საფასური, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

10. ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები

ათასი აშშ დოლარი	2023	2022
სავალუტო შემოსულობა, წმინდა	115	807
საპროცენტო შემოსავლები საბანკო დეპოზიტებიდან	70	109
ფინანსური შემოსავალი	185	916
ფასს 16-ის ფარგლებში დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(1,505)	(1,026)
ჯარიმები დაგვიანებული გადახდებისათვის	(1,455)	(1,382)
ფინანსური ხარჯი	(3,303)	(2,408)

ნინო ნონქოლაძე

შპს რიშპეტრიოდ საქართველო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები – 2023 წლის 31 დეკემბერი (გაგრძელება)
(თანხები გამოსახულია ათასობით აშშ დოლარში)

11. ძირითადი საშუალებები

ათასი აშშ დოლარი	მიწა	შენიშნა- ნაცვლები	მანქანა- დანადგარები	საუჯარო გაუმჯობესება	საოფისე აქსუერვლი	ავტომობილები	დაუმთავრებელი შენიშვნა და დაუმთავრებელი მოწყობილობები	სულ
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	1,852	8,409	9,841	2,726	1,450	194	1,324	25,796
დამატებები	-	-	-	-	-	-	699	699
გადაცემა	-	55	1,374	46	11	-	(1,486)	-
გასვლები / ჩამოწერები	-	(19)	(844)	(847)	(699)	(52)	(206)	(2,667)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	1,852	8,445	10,371	1,925	762	142	331	23,828
დამატებები	-	-	-	-	-	-	863	863
გადაცემა	-	26	598	238	52	-	(914)	-
გასვლები / ჩამოწერები	-	-	(1,653)	(97)	(221)	(100)	(153)	(2,224)
გადაცემა საინვესტიციო საკუთრებიდან	46	-	-	-	-	-	46	46
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	1,898	8,471	9,316	2,066	593	42	127	22,513
დაგრძელებული ცვლილება	-	(2,647)	(4,450)	(2,422)	(1,207)	(10)	-	(10,736)
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	-	(552)	(784)	(136)	(86)	(122)	-	(1,680)
გასვლები / ჩამოწერები	-	19	564	724	762	35	-	2,104
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	-	(3,180)	(4,670)	(1,834)	(531)	(97)	-	(10,312)
წლის დარიცხვა	-	(566)	(914)	(159)	(65)	(18)	-	(1,722)
გასვლები / ჩამოწერები	-	4	1,619	87	223	97	-	2,030
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	-	(3,742)	(3,965)	(1,906)	(373)	(18)	-	(10,004)
საბალანსო დირეზულირება:								
2022 წლის 1 იანვარს	1,852	5,762	5,391	304	243	184	1,324	15,060
2022 წლის 31 დეკემბერს	1,852	5,265	5,701	91	231	45	331	13,516
2023 წლის 31 დეკემბერს	1,898	4,729	5,351	160	220	24	127	12,509

ძირითადი საშუალებები მოიცავს სრულად ამორტიზებულ ერთეულებს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 2,421 ათასი აშშ დოლარის ღირებულებით (2022 წლის 31 დეკემბერი: 2,552 ათასი აშშ დოლარი).

ნინო წიგნაძე

შპს რომპეტროლ საქართველო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები – 2023 წლის 31 დეკემბერი (გაგრძელება)
(თანხები გამოსახულია ათასობით აშშ დოლარში)

12. მარაგები

ათასი აშშ დოლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
გადასაყიდი საქონელი	9,718	11,608
საქონელი ტრანზიტში	6,095	4,862
სხვა მარაგები	149	153
სულ	15,962	16,623

მარაგების თვითღირებულება, რომელიც ხარჯად აღიარებულია იმ პერიოდის განმავლობაში რომელიც ასახავს რეალიზაციის თვითღირებულებას, შეადგენს 215,977 ათას აშშ დოლარს (2022: 321,536 ათასი აშშ დოლარი).

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ათასი აშშ დოლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	5,213	4,301
სხვა ფინანსური მოთხოვნები	288	180
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი	(223)	(249)
სულ ფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	5,278	4,232
გადახდილი აგანსები	366	579
სულ	5,644	4,811

კომპანიის დაქვემდებარება საკრედიტო და სავალუტო რისკებზე და სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალი განმარტებულია მე-19 შენიშვნაში.

14. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ათასი აშშ დოლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
საბანკო ნაშთები	1,474	1,642
ფულადი სახსრები ხელზე	271	131
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,745	1,773

კომპანიის საპროცენტო განაკვეთის რისკზე დაქვემდებარება და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მგრძნობელობის ანალიზი განმარტებულია 19-ე შენიშვნაში.

ნიკო ნიჭილაძე

15. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის 2013 წლის 14 თებერვლით დათარიღებული წესდების მიხედვით, კომპანიის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალი 5,765 ათას აშშ დოლარს შეადგენს. თანხა შეტანილია ნაღდი ფულით.

დივიდენდები. წლის განმავლობაში დივიდენდები არ ყოფილა გამოცხადებული ან გადახდილი (2022: ნული).

16. კაპიტალის მართვა

კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს კაპიტალის შესაბამისი ბაზის უზრუნველყოფას კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიულ საჭიროებებთან დაკავშირებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, და ასევე ბაზრის მონაწილეების ნდობის შესანარჩუნებლად. აღნიშნულის მიღწევა ხდება ფულადი სახსრების ეფექტური მართვით, კომპანიის შემოსავლებისა და მოგების მუდმივი მონიტორინგის მეშვეობით და გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმებით, რომლებიც ძირითადად კომპანიის საოპერაციო ფულადი ნაკადებით ფინანსდება. კომპანიას აქვს კაპიტალის საკმარისი ბაზა მისი საოპერაციო და სტრატეგიული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ამ ღონისძიებების გატარებით, კომპანია მოგების მდგრად ზრდას ისახავს მიზნად.

კომპანიის კაპიტალის მართვის მიდგომაში წლის განმავლობაში ცვლილებები არ განხორციელებულა.

კომპანია არ წარმოადგენს გარედან დაკისრებული, კაპიტალის მოთხოვნების საგანს.

17. იჯარები

ინფორმაცია იჯარებზე, რომლებშიც კომპანია მოიჯარეა, წარმოდგენილია ქვემოთ:

აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულებებში მოძრაობები შემდეგია:

ათასი აშშ დოლარი	ბენზინგასამართი სადგურები	საოფისე ფართი და სხვა შენობები	სულ
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 1 იანვარს	19,348	50	19,398
დამატებები	789	1,068	1,857
მოდიფიცირება	862	-	862
ჩამოწერა იჯარის დასრულების შედეგად	-	-	-
ცვეთის დარიცხვა წლის განმავლობაში	(3,185)	(122)	(3,307)

საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	17,814	996	18,810
---	--------	-----	--------

ათასი აშშ დოლარი	ბენზინგასამართი სადგურები	საოფისე ფართი და სხვა შენობები	სულ
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 1 იანვარს	11,396	249	11,645
დამატებები	12,204	-	12,204
ჩამოწერა იჯარის შეწყვეტის შედეგად	(116)	-	(116)
ცვეთის დარიცხვა წლის განმავლობაში	(4,136)	(199)	(4,335)

საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	19,348	50	19,398
---	--------	----	--------

ნიმო ნონიფიკატი

შპს რომბეტროლ საქართველო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები – 2023 წლის 31 დეკემბერი (გაგრძელება)
(თანხები გამოსახულია ათასობით აშშ დოლარში)

მოგებაში ან ზარალში აღიარებული თანხები

ათასი აშშ დოლარი	2023	2022
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	(1,505)	(1,026)
აქტივების გამოყენების უფლების ქვეიჯარებიდან მიღებული შემოსავალი	30	28
მოკლევადიან იჯარებთან დაკავშირებული ხარჯები	(57)	(241)
ცვლად საიჯარო გადახდებთან დაკავშირებულ ხარჯები	(866)	(513)
სულ	(2,398)	(1,752)

ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში აღიარებული თანხები

ათასი აშშ დოლარი	2023	2022
სულ ფულადი სახსრების გადინება იჯარებისთვის	(5,383)	(6,497)

893 ათასი აშშ დოლარის ოდენობით წმინდა ფულადი ნაკადების გადინებები 2023 წელს (2022: 726 ათასი აშშ დოლარი) მოიცავს ფულად ნაკადების გადინებას: ცვლადი საიჯარო გადახდებისთვის, რომლებიც არ არის შეყვანილი საიჯარო ვალდებულებების შეფასებაში, შემოსავალს აქტივების გამოყენების უფლების ქვეიჯარებიდან და საიჯარო გადახდებს მოკლევადიანი იჯარებისთვის.

ვალდებულებების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილ ფულად ნაკადებთან - საიჯარო ვალდებულებები

ათასი აშშ დოლარი	2023	2022
ნაშთი 1 იანვარს	20,112	12,769
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა - ძირითადი თანხა	(2,955)	(4,717)
სულ ცვლილებები საფინანსო ფულადი ნაკადებიდან	(2,955)	(4,717)
<i>სხვა ცვლილებები:</i>		
დამატებები	1,857	12,204
საიჯარო მოდიფიცირება	862	-
სხვა მოძრაობა	-	(144)
პროცენტის დარიცხვა	1,505	1,026
გადახდილი პროცენტი	(1,505)	(1,026)
სულ ვალდებულებასთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები	2,719	12,060
ნაშთი 31 დეკემბერს	19,876	20,112
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები	3,139	2,748
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	16,737	17,364

ნინო წმენჯიასური

შპს რომპეტროლ საქართველო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები – 2023 წლის 31 დეკემბერი (გაგრძელება)
(თანხები გამოსახულია ათასობით აშშ დოლარში)

კომპანია იჯარით იღებს რამდენიმე ბენზინგასამართ სადგურს და საოფისე ფართს. ყველა საიჯარო ხელშეკრულება აშშ დოლარშია დენომინირებული. საიჯარო პირობები განსხვავდება სხვადასხვა საიჯარო ხელშეკრულებების შემთხვევაში. იჯარები, როგორც წესი, გრძელდება 1-10 წლამდე მინიმალური არა-გაუქმებადი პერიოდის განმავლობაში, აღნიშნული პერიოდის შემდეგ იჯარის განახლების შესაძლებლობით.

კომპანია ფართოდ განმარტავს საიჯარო ხელშეკრულებებში იჯარის სავალდებულო აღსრულების შესაძლებლობას. საიჯარო ვადა ასახავს კომპანიის იმ პერიოდის გონივრულ შეფასებას, რომლის განმავლობაშიც შესაბამისი აქტივი იქნება გამოყენებული. საიჯარო ვადის განსაზღვრისას კომპანია მის განსჯას აფუძნებს ხელშეკრულების და შესაბამისი აქტივის ფართო ეკონომიკაზე და არა მხოლოდ სახელშეკრულებო პირობებზე, რაც საშუალებას იძლევა, რომ ისეთი ფაქტორები როგორებიცაა, ეკონომიკური ჯარიმები, იურიდიული მიდგომა იჯარის განახლებასთან დაკავშირებით და რეგულაციის მოსალოდნელი ცვლილებები, ეფექტურად იყოს ასახული იჯარის ვადის შეფასებაში.

იჯარებისთვის საიჯარო ვალდებულებების შეფასებისას, კომპანია ახორციელებს მისი საიჯარო გადახდების დისკონტირებას მისი ზღვრული სასესხო განაკვეთის გამოყენებით, იჯარის აღიარების თარიღისთვის. კომპანია იყენებს ერთ დისკონტირების განაკვეთს, გონივრულ ფარგლებში მსგავსი მახასიათებლების მქონე იჯარების პორტფელზე. 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრისთვის, სამომავლო საიჯარო გადახდების დისკონტირებისთვის გამოყენებული საშუალო შეწონილი განაკვეთი იყო დაახლოებით 8%.

18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ათასი აშშ დოლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	30,737	29,024
სხვა ვალდებულებები	1,541	2,058
სულ ფინანსური ვალდებულებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	32,278	31,082
მიღებული ავანსები	1,078	1,385
სულ	33,356	32,467

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებული დაქვემდებარება სავალუტო და ლიკვიდობის რისკებზე განმარტებულია 19-ე შენიშვნაში.

19. რეალური ღირებულება და რისკების მართვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებები. რეალური ღირებულების შეფასების მიზანია შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის განხორციელებულ სტანდარტულ ოპერაციაში აქტივის გაყიდვიდან მიღებული ან ვალდებულების გადაცემისთვის გადახდილი ფასის მიახლოება. თუმცა განუსაზღვრელობების გათვალისწინებით და სუბიექტური განსჯის გამოყენებით, რეალური ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც აქტივების დაუყოვნებლივ გაყიდვით, ან ვალდებულებების გადაცემით რეალიზებადი.

კომპანიამ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება შეფასების ტექნიკების გამოყენებით განსაზღვრა. შეფასების ტექნიკის მიზანს წარმოადგენს რეალური ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს შეფასების თარიღისთვის, ბაზრის მონაწილეებს შორის განხორციელებულ სტანდარტულ ოპერაციაში აქტივის გაყიდვიდან მიღებულ, ან ვალდებულების გადაცემისთვის გადახდილ ფასს. გამოყენებული შეფასების ტექნიკა წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელს. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულება გამოანგარიშდება ძირითადი თანხის და პროცენტის სამომავლო ფულადი

ნინო ნიჭილაშვილი

ნაკადების დღევანდელი ღირებულების საფუძველზე, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის დისკონტირდება პროცენტის საბაზრო განაკვეთით.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებას არის მიახლოებული.

ფინანსური რისკის მართვა. კომპანია, მისი ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით ექვემდებარება შემდეგ რისკებს:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდობის რისკი;
- საბაზრო რისკი

რისკის მართვის სტრუქტურა. ხელმძღვანელობას აკისრია მთლიანი პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის დადგენასა და ზედამხედველობაზე.

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკა განისაზღვრება რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების ზღვრებისა და კონტროლის განსაზღვრისთვის და რისკებისა და ზღვრების დაცვის მონიტორინგისთვის. რისკების მართვის პოლიტიკა და სისტემები რეგულარულად გადაიხედება, საბაზრო პირობების და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების ასახვის მიზნით. სწავლების და მართვის სტანდარტების და პროცედურების გამოყენებით კომპანიის მიზანია დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემოს შექმნა, რომელშიც ყველა თანამშრომელს გააზრებული ექნება თავისი ფუნქცია და ვალდებულება.

საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური ზარალის რისკს, თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაჰენტი ვერ დააკმაყოფილებს მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ეს რისკი ძირითადად წარმოიქმნება კლიენტების მიმართ კომპანიის მოთხოვნებიდან.

საკრედიტო რისკზე დაქვემდებარება. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო დაქვემდებარებას. საანგარიშგებო თარიღისთვის საკრედიტო რისკზე მაქსიმალური დაქვემდებარება იყო შემდეგი:

ათასი აშშ დოლარი	შენიშვნა	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	5,278	4,232
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14	1,474	1,642
სულ		6,752	5,874

სავაჭრო მოთხოვნები. კომპანიის საკრედიტო რისკი ძირითადად განპირობებულია თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლებით. კომპანიის მომხმარებელთა ბაზის დემოგრაფიულ მაჩვენებლებს, იმ დარგისა და დეფოლტის რისკის ჩათვლით, რომელშიც ოპერირებენ კლიენტები, ნაკლები გავლენა აქვთ საკრედიტო რისკზე. თუმცა, გეოგრაფიულად, საკრედიტო რისკი ძირითადად საქართველოშია კონცენტრირებული.

ხელმძღვანელობამ შეიმუშავა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის თანახმადაც ყველა ახალი მომხმარებლის კრედიტუნარიანობის განსასაზღვრად ინდივიდუალური შეფასება ხორციელდება, კომპანიის მიერ სტანდარტული გადახდის და მიწოდების პირობების შეთავაზებამდე. კომპანიის შეფასება მოიცავს გარე რეიტინგებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და გარკვეულ შემთხვევაში საბანკო მონაცემებს. კომპანიის შემოსავლის დაახლოებით 13% (2022 წელს: 19%) უკავშირდება გაყიდვების ოპერაციებს ერთ კლიენტთან.

კომპანიას დიდი ხნის ურთიერთობა აქვს მის ძირითად მომხმარებლებთან და ზარალს იშვიათად ჰქონია ადგილი. მომხმარებლის საკრედიტო რისკის მონიტორინგის პროცესში, მომხმარებლები დაჯგუფებულები არიან მათი საკრედიტო მახასიათებლების მიხედვით, მათ შორის იმის გათვალისწინებით, ისინი ფიზიკურ პირებს წარმოადგენენ, თუ - იურიდიულს, ასევე, გათვალისწინებულია ისინი წარმოადგენენ საბითუმო, საცალო თუ საბოლოო მომხმარებლებს, მათი გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, დარგი, ასაკობრივი პროფილი, დაფარვის

ნინო ნიწკელაური

შპს რომბეტროლო საქართველო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები – 2023 წლის 31 დეკემბერი (გაგრძელება)
(თანხები გამოსახულია ათასობით აშშ დოლარში)

ვადა და ადრე არსებული ფინანსური სირთულეები. სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად კომპანიის კორპორაციულ კლიენტებს უკავშირდება.

კომპანიას არ გააჩნია სავაჭრო მოთხოვნა და სახელშეკრულებო აქტივები, რომლებისთვისაც არ არის აღიარებული ზარალის ანარიცხი უზრუნველყოფის არსებობის გამო.

მაქსიმალური საკრედიტო რისკი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში საანგარიშგებო თარიღისთვის, გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით იყო შემდეგი:

ათასი აშშ დოლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ადგილობრივი	5,278	4,232
სულ	5,278	4,232

მაქსიმალური საკრედიტო რისკი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისათვის საანგარიშგებო თარიღისთვის მომხმარებლის ტიპის მიხედვით იყო შემდეგი:

ათასი აშშ დოლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
საგალო	3,063	3,808
საბითუმო	2,215	424
სულ	5,278	4,232

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. შემდეგი ცხრილი გვაწვდის ინფორმაციას საკრედიტო რისკისადმი დაქვემდებარებაზე და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის მომხმარებლების სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის, 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ათასი აშშ დოლარი	2023		სულ
	არ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული	საკრედიტო რისკით გაუფასურებული	
მომხმარებლის საკრედიტო რისკის ხარისხი			
დაბალი რისკი	5,501	-	5,501
სულ მთლიანი საბალანსო ღირებულება	5,501	-	5,501
ზარალის ანარიცხი	(223)	-	(223)
	5,278	-	5,278

ნინო წიწყოლაძე

შპს რომბეტროლ საქართველო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები – 2023 წლის 31 დეკემბერი (გაგრძელება)
(თანხები გამოსახულია ათასობით აშშ დოლარში)

ათასი აშშ დოლარი	2022		სულ
	არ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული	საკრედიტო რისკით გაუფასურებული	
მომხმარებლის საკრედიტო რისკის ხარისხი დაბალი რისკი	4,481	-	4,481
სულ მთლიანი საბალანსო ღირებულება	4,481	-	4,481
ზარალის ანარიცხი	(249)	-	(249)
	4,232	-	4,232

კომპანია თითოეულ დაქვემდებარებას ანაწილებს საკრედიტო რისკის ხარისხზე, რომელიც ეფუძნება ზარალის რისკის პროგნოზირებასთან დაკავშირებულ მონაცემებს (გარე შეფასებები, ინფორმაცია კონტრაქტების პოტენციურ ფინანსურ სირთულეებზე და ვადაგადაცილებულ დღეებზე (და არა მხოლოდ)) და გამოცდილი საკრედიტო განსჯის გამოყენებით.

ანარიცხის ანგარიში სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში გამოიყენება გაუფასურების ზარალის აღრიცხვის მიზნით, მანამ, სანამ აღდგენის ყველა შესაძლებლობა არ იქნება ამოწურული; ამ დროს თანხები ჩამოიწერება პირდაპირ ფინანსური აქტივის საპირწონედ. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ სავაჭრო მოთხოვნების ნაშთები დაბალი რისკის მქონე კლიენტებისგან არის მისაღები და არ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული.

კომპანია შემდეგნაირად განსაზღვრავს დაბალი რისკის ხარისხებს:

დაბალი რისკი - კონტრაქტებს აქვთ ძლიერი უნარი შეასრულონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები უახლოეს პერიოდში და არ არის სავარაუდო, რომ ეკონომიკური და ბიზნეს გარემოს უარყოფითი ცვლილებები გრძელვადიან პერსპექტივაში, შეამცირებს კონტრაქტების უნარს შეასრულონ მათი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვალდებულებები. Ba2-დან B3-მდე გარე საკრედიტო რეიტინგის ეკვივალენტი ("Moody's"). საშუალო შეწონილი ზარალის განაკვეთი დაბალი რისკის ხარისხისთვის არის დაახლოებით 4.1% (2022: 5.6%).

სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებულ გაუფასურების ანარიცხში მოძრაობა წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

ათასი აშშ დოლარი	2023	2022
ნაშთი წლის დასაწყისში	(249)	(214)
წლის (დარიცხვა)/აღდგენა, ნეტო	26	(35)
ნაშთი წლის ბოლოს	(223)	(249)

ფულადი სახსრები ბანკში. კომპანია, როგორც წესი, ფულად სახსრებს კარგი საკრედიტო რეიტინგის მქონე ბანკებში ინახავს. 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მთლიანი საბანკო ნაშთები ინახება ყველაზე დიდ ქართულ ბანკში მოკლევადიანი დეფოლტ რეიტინგით B, რაც შეფასებულია Fitch- ის სარეიტინგო სააგენტოს მიერ. ყველა ნაშთი კლასიფიცირებულია 1-ელ ეტაპზე. კომპანია არ მოელის, რომ რომელიმე კონტრაქტის ვერ შეძლებს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილებას.

ლიკვიდობის რისკი. ლიკვიდობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას შეეძლება სირთულეები იმ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებაში, რომლებიც ანგარიშსწორებულია ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდების გზით. კომპანიის პოლიტიკა ლიკვიდობის მართვასთან დაკავშირებით, არის, ის რომ უზრუნველყოს, ყოველთვის ჰქონდეს სათანადო ლიკვიდობა მისი ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად მათი დაფარვის ვადის დადგომისას, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ გარემოებებში, მიუღებელი ზარალის გაწევის ან კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

ნიმე მხსნელაყრი

შპს რომმეტროლ საქართველო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები – 2023 წლის 31 დეკემბერი (გაგრძელება)
(თანხები გამოსახულია ათასობით აშშ დოლარში)

კომპანია ლიკვიდობის მოთხოვნებს მართავს, როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანი პროგნოზების გამოყენებით, ძირითადი ბიზნეს საქმიანობებიდან დაფინანსების ხელმისაწვდომობის შენარჩუნების და აუცილებლობის შემთხვევაში, მომწოდებლებთან გადახდის ვადების გახანგრძლივებაზე მოლაპარაკებების წარმოების გზით.

ხელმძღვანელობა რეგულარულად აკონტროლებს კომპანიის ყოველთვიური ფულადი ნაკადების პროგნოზებს. კომპანიას ჩამოყალიბებული აქვს წლიური ბიუჯეტირების პროცესი მის მშობელ კომპანიასთან, რაც მოიცავს ფულადი ნაკადების პროგნოზებს ყოველთვიურ საფუძველზე. ბიუჯეტი განიხილება ხელმძღვანელობის მიერ და მტკიცდება მშობელი კომპანიის მიერ.

ლიკვიდურობის რისკზე დაქვემდებარება. ქვემოთ მოცემულია ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო დაფარვის ვადები, შეფასებული საპროცენტო გადახდების ჩათვლით: არ არის მოსალოდნელი, რომ დაფარვის ვადების ანალიზში შესულ ფულად ნაკადებს ადგილი ექნებათ არსებითად ადრე, ან არსებითად განსხვავებული ოდენობებით.

ათასი აშშ დოლარი	2023 წლის 31 დეკემბერი					
	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	მოთხოვნამდე	0-12 თვემდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები						
საიჯარო						
ვალდებულებები	19,876	29,714	-	4,590	15,054	10,070
სავაჭრო და სხვა						
ვალდებულებები	32,278	32,278	-	32,278	-	-
სულ	52,154	61,992	-	36,868	15,054	10,070

ათასი აშშ დოლარი	2022 წლის 31 დეკემბერი					
	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	მოთხოვნამდე	0-12 თვემდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები						
საიჯარო						
ვალდებულებები	20,112	26,735	-	3,985	13,096	9,654
სავაჭრო და სხვა						
ვალდებულებები	31,082	31,082	-	31,082	-	-
სულ	51,194	57,817	-	35,067	13,096	9,654

საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვლილების რისკს, როგორიცაა სავალუტო გაცვლითი კურსების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ფასების ცვალებადობის რისკს, რაც გავლენა მოახდენს კომპანიის შემოსავლებზე, ან მის ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკებისადმი დაქვემდებარების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციასთან ერთად.

ნინო წონჯოლაური

შპს რომბეტროლ საქართველო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები – 2023 წლის 31 დეკემბერი (გაგრძელება)
(თანხები გამოსახულია ათასობით აშშ დოლარში)

სავალუტო რისკი. კომპანია ექვემდებარება სავალუტო რისკს იმ გაყიდვებთან დაკავშირებით, რომლებიც დენომინირებულია ლარში.

დაქვემდებარება სავალუტო რისკზე. კომპანიის დაქვემდებარება სავალუტო რისკზე იყო შემდეგი (პირობითი ოდენობების მიხედვით):

ათასი აშშ დოლარი	ლარში დენომინირებული	
	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,990	4,052
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(1,178)	(2,058)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,734	1,664
წმინდა დაქვემდებარება	5,546	3,658

წლის განმავლობაში გამოყენებული იყო შემდეგი მნიშვნელოვანი გაცვლითი კურსები:

ათასი აშშ დოლარი	საშუალო კურსი		სპოტ სავალუტო კურსი	
	2023	2022	2023	2022
1 ლარი	0.3805	0.3430	0.3718	0.3701

მგრძნობელობის ანალიზი. 31 დეკემბრის მდგომარეობით, აშშ დოლარის კურსის გონივრული შესაძლო 10%-იანი გაუფასურება (2022: 10 %) ლართან მიმართებაში, როგორც ქვემოთ არის მითითებული, იმოქმედებდა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და კაპიტალზე და მოგებაზე ან ზარალზე ქვემოთ წარმოდგენილი თანხებით. ანალიზი გაკეთდა იმ დაშვების საფუძველზე, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ საპროცენტო განაკვეთები, უცვლელი დარჩება და გამორიცხავს საპროგნოზო გაყიდვების და შესყიდვების ნებისმიერ გავლენას.

ათასი აშშ დოლარი	2023	2022
მოგება ან (ზარალი)	556	366

31 დეკემბრისთვის, აშშ დოლარის კურსის გამყარებას ლართან მიმართებაში ექნებოდა იგივე ოდენობის, მაგრამ საპირისპირო გავლენა ზემოაღნიშნულ ოდენობებზე, იმ პირობით რომ ყველა სხვა ცვლადი უცვლელი დარჩება.

20. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

ვალდებულებები. 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონდა არსებითი ვალდებულებები.

საგადასახადო გაუთვალისწინებელი მოვლენები საქართველოში. საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო, ოფიციალური განცხადებები და სასამართლო გადაწყვეტილებების ცვლილებები, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისაგან განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. საგადასახადო წელი ღია რჩება საგადასახადო უწყებების მიერ განსახილველად, სამი თანმიმდევრული კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, კონკრეტულ ვითარებებში საგადასახადო წელი შესაძლოა უფრო დიდი ხნით დარჩეს ღია.

ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკები, რომლებიც, იმ სხვა ქვეყნებთან შედარებით, სადაც უფრო განვითარებული საგადასახადო სისტემებია, საქართველოში გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურად არის უზრუნველყოფილი მოქმედი

ნიმუში წარმოდგენილია

საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციებისთვის. თუმცა, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს კომპანიის ინტერპრეტაციისაგან და თუ საგადასახადო ორგანომ შეძლო საკუთარი ინტერპრეტაციების არგუმენტირება, მაშინ აღნიშნულმა გარემოებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

საგადასახადო შემოწმებამ (რომელიც 2020 წლის დეკემბერში დასრულდა) დახურა კომპანიის საგადასახადო პოზიციები 2019 წლის 1 იანვრამდე. საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ კომპანიაზე არ დაწესებულა არსებითი დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები. სატრანსფერო ფასწარმოქმნასთან დაკავშირებული საგადასახადო შემოწმება, რომელიც მოიცავს 2016 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდებს, 2019 წლის იანვარში დაიწყო. შემოწმების შედეგად მოხდა 1,612 ათასი აშშ დოლარის დამატებით დარიცხვა (4,623 ათასი ლარი), ჯარიმების ჩათვლით, რაც შემდგომ გასაჩივრდა კომპანიის მიერ. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის სამსახურმა გამოსცა 2021 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომელსაც მოჰყვა საქართველოს შემოსავლების სამსახურის 2022 წლის 17 მარტის ბრძანება, რომლის მიხედვითაც სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და დამატებითი დარიცხვის ოდენობა 2,383 ათას ლარამდე შემცირდა. კომპანიამ ეს უკანასკნელი გადაწყვეტილება ხელახლა გაასაჩივრა ფინანსთა სამინისტროში დარჩენილი სადავო ოდენობების გაუქმების მოთხოვნით, რაც ფინანსთა სამინისტრომ არ დააკმაყოფილა. ხელმძღვანელობამ საჩივარი შეიტანა თბილისის საქალაქო სასამართლოში გადასახადის დარჩენილ თანხასთან დაკავშირებით.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ საქმის მოგების ალბათობა მისი წაგების ალბათობაზე არსებითად მაღალია. შესაბამისად, საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ წამოწეულ საგადასახადო პოზიციებზე ანარიცხი არ აღიარებულია; თუმცა, ხელმძღვანელობა ასევე აცნობიერებს, რომ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის, მოსალოდნელი შედეგის შეფასებაზე გავლენა აქვს საქართველოში სატრანსფერო ფასწარმოქმნასთან დაკავშირებით დავების გადაწყვეტის პრაქტიკის არარსებობას.

პირობითი ვალდებულებები. 2022 წლის 16 აგვისტოს საქართველოს კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ (“GNCA”) დაიწყო კვლევა კომპანიის მიერ საქართველოში სხვა მსხვილ საწვავის საცალო მოვაჭრეებთან ერთად, კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის პოტენციურ დარღვევასთან დაკავშირებით. შედეგად, საქართველოს კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ კომპანიას ჯარიმა 366 ათასი აშშ დოლარის ოდენობით დააკისრა, რომპეტროლ ჯორჯიამ სარჩელი 2023 წლის 15 სექტემბერს შეიტანა. სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოში განიხილება. დავა ეხება კონკურენციის სააგენტოს 2023 წლის 16 აგვისტოს გადაწყვეტილებას, რომლითაც დადგინდა საქართველოს კონკურენციის კანონის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის დარღვევა და სააგენტომ დააკისრა ზემოთ აღნიშნული ჯარიმა.

ჯარიმის ანარიცხი არ აღიარებულია ზემოაღნიშნულ კვლევასთან დაკავშირებით, რადგან კომპანიის მენეჯმენტი თვლის, რომ ნაკლებსავარაუდოა ეს ფაქტი რაიმე მნიშვნელოვანი ჯარიმის ან სხვა შედეგების მომტანი აღმოჩნდეს თუმცა, ხელმძღვანელობა ასევე აღიარებს, რომ საბოლოო შედეგი შეიძლება იყოს განსხვავებული, ვიდრე მათი მოლოდინი.

სასამართლო დავები. საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, კომპანია დაქვემდებარებულია სარჩელებსა და საჩივრებს. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მოცემული სარჩელებიდან და საჩივრებიდან წარმოქმნილ საბოლოო ვალდებულებას, გარდა ანარიცხის სახით აღიარებულისა, არ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა კომპანიის სამომავლო საქმიანობის შედეგებზე ან ფინანსურ მდგომარეობაზე.

გარემოსდაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულირება ჩამოყალიბების ეტაპზეა, შესაბამისად მთავრობის უფლებამოსილება აღსრულებაზე მუდმივ გადასინჯვას ექვემდებარება. კომპანია პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოსდაცვითი რეგულირების ფარგლებში. მოვალეობების განსაზღვრისთანავე ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებული რეგულირების, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო პროცესის ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება არსებითი იყოს. არსებულ აღსრულების პირობებში და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გარემოზე ზიანის მიყენებისათვის არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

კლიმატის ცვლილების გათვალისწინება. კომპანიის ხელმძღვანელობამ ყურადღება გაამახვილა გლობალურ ინფორმირებულობასა და ზრუნვაზე კლიმატის ცვლილების პოტენციური გავლენის შესახებ. ამჟამად, ამ საკითხს მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ფინანსურ ანგარიშგებაზე და კომპანიის საქმიანობასა და ბიზნეს გეგმებზე სამომავლო ზემოქმედების პროგნოზირება რთულია. ხელმძღვანელობა აგრძელებს მონიტორინგს ამ სფეროში

ნინო ნოსქილაძე

შპს რომპეტროლ საქართველო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები – 2023 წლის 31 დეკემბერი (გაგრძელება)
(თანხები გამოსახულია ათასობით აშშ დოლარში)

განვითარებულ მოვლენებზე და კომპანიის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად საჭიროების მიხედვით გამოეხმაურება მათ, მიიღებს ყველა სამთავრობო სახელმძღვანელო მითითებებს თუ და როდესაც ისინი გამოიცემა იმ ბაზრებზე, სადაც კომპანია ოპერირებს.

21. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევა, როდესაც ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

ოპერაციები მთავარ ხელმძღვანელ პირებთან-მთავარი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება. მთავარმა ხელმძღვანელმა პირებმა წლის განმავლობაში მიიღეს შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შესულია ხელფასების და დასაქმებულთა სხვა სარგებლის კატეგორიაში:

ათასი აშშ დოლარი	2023	2022
ხელფასები და სხვა სარგებელი	336	439

სხვა ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ათასი აშშ დოლარი	გარიგების ღირებულება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის		დაუფარავი ნაშთი 31 დეკემბერს	
	2023	2022	2023	2022
საქონლის გაყიდვა: საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	1	15	45	154
საქონლისა და მომსახურების შეძენა:* საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	174,646	290,002	31,359	29,047
გადახდილი ავანსები: საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	-	-	-	129
ფინანსური ხარჯები: საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	1,455	1,382	-	-

* 2023 წელს, საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოებისგან საქონლისა და მომსახურების შეძენები ძირითადად მოიცავს: მარაგების შეძენებს იმავე დონის შვილობილი საწარმოს "KMG Trading AG"-ს მიმართ, 170,535 ათასი აშშ დოლარის (2022: 285,623 ათასი აშშ დოლარი). ფინანსური ხარჯები მოიცავს: დაგვიანებული გადახდის ჯარიმას იმავე დონის შვილობილი საწარმოს "KMG Trading AG"-ს მიმართ 1,455 ათასი აშშ დოლარის ოდენობით (2022: 1,382 ათასი აშშ დოლარი).

საქონლისა და მომსახურების შეძენები ასევე მოიცავს ბათუმის ნავთობის ტერმინალის მიერ გაწეულ

ნინო წიწკილაძე

ტრანსპორტირების მომსახურებას, რომელიც 2,428 ათას აშშ დოლარს შეადგენს (2022: 2,952 ათასი აშშ დოლარი). დაკავშირებული მხარისგან საწვავის ზემოაღნიშნული შესყიდვები არ მოიცავს 24,773 ათასი აშშ დოლარის ოდენობით აქციზის გადასახადებს (2022: 27,648 ათასი აშშ დოლარი), რომლებიც დარიცხულია საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით და რომელიც მარაგების ღირებულების ნაწილს წარმოადგენს.

ყველა დაუფარავი ნაშთი დაკავშირებული მხარეების მიმართ დაკმაყოფილებული უნდა იყოს ფულადი სახსრებით, საანგარიშგებო თარიღიდან 1 წლის განმავლობაში. არცერთი ნაშთი არ არის უზრუნველყოფილი.

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რაც მოითხოვდა კორექტირებას ან განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში.

ნინო წიწკოლაური

1. კომპანია და მისი საქმიანობა

რომპეტროლ საქართველო (შემდეგში - “კომპანია”) დაფუძნდა 2005 წლის 5 დეკემბერს და მოქმედებს საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, ჩამოყალიბებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციაში საიდენტიფიკაციო ნომრით 204493002.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის უშუალო და ერთადერთი მშობელი საწარმოა KMG INTERNATIONAL N.V, რომლის საბოლოო მაკონტროლებელია სს Sovereign Wealth Fund “Samruk-Kazyna”.

კომპანიის სამუშაო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის საწვავის იმპორტი და გაჭრობა საქართველოს ტერიტორიაზე საცალო და საბითუმო არხებით.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ გახორციელებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტიანობაზე, საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ სფეროებში განვითარებასთან ერთად.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ იგი იღებს ყველა აუცილებელ ზომას კომპანიის საქმიანობის სტაბილურობისა და განვითარების ხელშესაწყობად.

2. ადამიანური რესურსების პოლიტიკა

2023 წლის მდგომარეობით, რომპეტროლ საქართველოში დასაქმებული იყო საშუალოდ 660 ადამიანი, რომელთაგანაც დაახლოებით 5% არის ტოპ და საშუალო რგოლის მენეჯერები და 11% ოფისიდან მომუშავე სხვადასხვა პროფესიონალი, ხოლო დანარჩენი თანამშრომლები არიან ბაზებზე და ავტოგასამართ სადგურებზე მომუშავე პირები.

რომპეტროლ საქართველო არის ქართულ ბაზარზე ერთ-ერთი საუკეთესო დამსაქმებელი, რომელიც თანამშრომლებზე მორგებულ განვითარების სხვადასხვა პროგრამებს სთავაზობს მათ.

თანამშრომლობის და ტალანტების განვითარების პროგრამების ეფექტურად განხორციელებისთვის გამოყოფილი ფონდი შეადგენს მთლიანი საკადრო ხარჯების 1%-ს.

კომპანია ეფექტურად იყენებს თანამშრომლების შეფასების სისტემას, რომელიც მოიცავს ეფექტურობისა და სამუშაოს შესრულების შედეგების მენეჯმენტს KPI, MBOs და კომპეტენციის მოდელებით. თანამშრომლებს (კომერციული და საცალო ქსელის დეპარტამენტების გარდა) აქვთ საშუალება მიიღონ ყოველწლიური პრემია, მათი ინდივიდუალური მიღწევების საფუძველზე, შესრულებული სამუშაოს შეფასების სისტემის შედეგების მიხედვით.

რაც შეეხება კომერციულ და საცალო ქსელის თანამშრომლებს, მოქმედებს ეფექტური კვარტალური საბონუსო სისტემა და კვარტალური ანაზღაურებები დაფუძნებულია გეგმების ფაქტიურ შესრულებაზე.

კომპანიისთვის თანამშრომლების კეთილდღეობა არის უმთავრესი პრიორიტეტი. შესაბამისად, კომპანია თანამშრომლებს სთავაზობს ძალიან მდიდარ და მრავალფეროვან თანამშრომელთა კეთილდღეობის პროგრამებს. მაგალითად, დასაქმებულთა დამატებითი კეთილდღეობის პროგრამები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ შემდეგით: დასაქმებულის წილი საპენსიო ფონდში გადასახდელის გადახდა, ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამები, მათ შორის სიცოცხლის დაზღვევა და მოგზაურობის დაზღვევა, სპორტული აკადემია, სწავლისთვის გამოყოფილი სპეციალური შევსებების დღეების ანაზღაურება, მოკლე სამუშაო დღე პარასკევს, ოფისის თანამშრომლებისთვის დისტანციურად მუშაობის შესაძლებლობა და სხვა.

ნინო წიქოყაძე

3. კომპანიის განვითარების სტრატეგია

კომპანიის განვითარების სტრატეგია კონცენტრირებულია მისი საცალო ქსელის განვითარებაზე, საქართველოს სხვადასხვა ადგილას ახალი ავტო გასამართი სადგურების გახსნის გზით, დამატებით დაგეგმილია ქსელში ახალი მომსახურების ტიპების დამატება, როგორცაა მაღაზია და ავტომობილების რეცხვა. ამასთან, კომპანიისთვის მომხმარებელთა კმაყოფილება პრიორიტეტულია და ის მუდმივად მუშაობს მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესებაზე. პერიოდულად ტარდება სხვადასხვა ტიპის კვლევები მომხმარებელთა კმაყოფილების, მომსახურების ხარისხის, ბრენდის მდგრადობის და საწვავის ბაზარზე პოზიციონირების მონიტორინგის მიზნით.

2017 წლის აგვისტოში ელთვულების პროგრამის ამოქმედების შემდეგ, ერთვული მომხმარებლების ბაზა 2022 წლის 31 დეკემბრისთვის არსებული მონაცემებით 353,225-დან გაიზარდა 2023 წლის ბოლოსთვის 388,302 მომხმარებელამდე.

4. კომპანიის მთავარი ფინანსური ინდიკატორები

ფინანსური წელი	ერთობლივი შემოსავალი (ათას აშშ დოლარში)	მთლიანი აქტივები (ათას აშშ დოლარში)
2023	232,768	54,850
2022	336,477	56,516

5. ფინანსური რისკები

კომპანიაში რისკების მართვა დაკავშირებულია ფინანსური, ოპერაციული და იურიდიული რისკების მართვასთან. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო განაკვეთის რისკის და ფასთან დაკავშირებული სხვა რისკების ჩათვლით), საკრედიტო რისკსა და ლიკვიდობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი მიზანია რისკის ლიმიტების დადგენა და შემდეგ რისკისადმი მგრძნობელობის აღნიშნულ ლიმიტებში შენარჩუნების უზრუნველყოფა, ოპერაციული და იურიდიული რისკების მართვა ხდება შიდა პოლიტიკითა და პროცედურებით, რომელიც მიმართულია ოპერაციული და იურიდიული რისკების შემცირების მიზნით.

საბაზრო რისკი. კომპანია დამოკიდებულია საბაზრო რისკებზე. საბაზრო რისკები წარმოიშობა ღია პოზიციებიდან (ა) უცხოურ ვალუტებში და (ბ) პროცენტთან აქტივებსა და ვალდებულებებში, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და კონკრეტულ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობამ განსაზღვრა ლიმიტები მისაღები რისკის მაჩვენებელთან მიმართებაში, რომელიც ყოველდღიურად კონტროლდება. თუმცა, ამგვარი მიდგომის გამოყენება ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული ლიმიტების გარეთ ზარალის თავიდან აცილებას, ბაზარზე არსებითი ცვლილებების შემთხვევაში.

ქვემოთ მოცემული საბაზრო რისკებისადმი დამოკიდებულებები ეფუძნება ერთი კოეფიციენტის ცვლილებას, მაშინ როცა ყველა სხვა ფაქტორი რჩება უცვლელი. პრაქტიკაში ეს ნაკლებად მოსალოდნელია და ზოგიერთი ფაქტორის ცვლილებაც შესაძლებელია დარეგულირდეს – მაგალითად, ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში და უცხოური ვალუტის კურსში.

სავალუტო რისკი. ქვემოთ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს:

‘000 აშშ დოლარი	ლარში - დენომინირებული	ლარში - დენომინირებული
	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,990	4,052
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(1,178)	(2,058)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,734	1,664
რისკისადმი წმინდა დაქვემდებარება	5,546	3,658

ნინო ნიჭილაური

ზემოაღნიშნული ანალიზი მოიცავს მხოლოდ მონეტარულ აქტივებსა და ვალდებულებებს. ინვესტიციები არაფულად აქტივებში ითვლება, რომ არ წარმოქმნის რაიმე არსებით სავალუტო რისკს.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა

რომპეტროლ საქართველო აქტიურად იყო ჩართული კორპორაციულ სოციალურ აქტივობაში 2023 წელსაც. კომპანია ასევე აქტიურად ეხმარებოდა მოსახლეობის სხვა დაუცველ ნაწილს, რომლებიც არიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ობოლი ბავშვები და მოხუცები, რომლებიც საჭიროებენ თავშესაფარს, ასევე უსასყიდლო საწვავით ამარაგებდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს მათი კვების ცენტრებში ან საკუთარ სახლებში ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად. დისტანციური მუშაობისა და უსაფრთხოების ზომების მრავალი დამხმარე სახელმძღვანელოს შემუშავებამ საშუალება მისცა კომპანიას ხელი შეუწყოს თავისი მომხმარებლების, თანამშრომლებისა და მათი ოჯახების ჯანმრთელობის დაცვას. რომპეტროლ საქართველო აქტიურადუწევს პოპულარიზაციას ჯანსაღი ცხოვრების წესს ერთ-ერთი ქართველი მრბოლელის სპონსორობით, რომელმაც მოახერხა რამდენიმე გამარჯვების მოპოვება ისეთ მნიშვნელოვან ადგილობრივ შეჯიბრებებზე, როგორიცაა Georgian Drift Series 2023, Georgian Rally Cross Championship 2023, და King of Drift 2023. კომპანია გეგმავს გააგრძელოს მდგრადი განვითარება თავისი დაინტერესებული მხარეების საჭიროებებზე დაკვირვებით.

6. კვლევა და განვითარება

კომპანიამ წარმატებით შეძლო წარემართა ბიზნესი და მარკეტინგული ოპერაციები, და ინტენსიურად განახორციელა კომუნიკაციები სოციალური მედიით და სხვა მედია არხებით, რათა გაეძლიერებინა ბრენდის, როგორც მაღალი ხარისხის პროდუქტისა და მომსახურების ევროპული ბრენდის იმიჯი. რომპეტროლ ჯორჯიამ განაახლა ბრენდის პარტნიორობა პაშა ბანკთან „იყიდე-ახლა-გადაიხადე-მოგვიანებით“ საცალო ბანკის მომსახურებაზე, რომელიც ორმხრივ მომხმარებლებს სთავაზობს საწვავის კრედიტით შეძენას. კომპანიამ ასევე გააგრძელა თანამშრომლობა საქართველოს ერთ-ერთ წამყვან ბანკთან, საქართველოს ბანკთან (BOG) PLUS-ზე ქვლების დაგროვებისა და დაბრუნების სპეციალურ აქციებსა და პროგრამებზე. კომპანია აქტიურად ემზადებოდა ევროპული მაღაზიისა და გასტრო ბრენდის “hei”-ს გახსნისთვის თავის ქსელში, რომლის მეშვეობითაც შეძლებდა მომხმარებლისთვის უგემრიელესი ყავის, საკონდიტრო ნაწარმისა და კომფორტის მაღაზიების პროდუქციის შეთავაზებას, სადგურებს კი უფრო მეტად დასასვენებელ ადგილად აქცევდა. მიუხედავად სადგურების დახურვისა, კომპანიას არ შეუწყვეტია თავის ერთგული მომხმარებლებისთვის იმის ჩვენება, რომ კომპანია ორიენტირებულია მუდმივ განვითარებაზე, ერთგული მომხმარებლების შენარჩუნებასა და ახლის მოზიდვაზე, ამგვარად, ინვესტიციები კომპანიისთვის გრძელვადიანი ვალდებულებაა.

მალიკ ტულეკოვი

ფინანსური დირექტორი

2024 წლის 8 ნოემბერი

თბილისი, საქართველო

კუანიშ ჟოლბარის

გენერალური დირექტორი

2024 წლის 8 ნოემბერი

თბილისი, საქართველო

ნიკო ნოზილაშვილი

სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის ნომერი

N241550354



სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის თარიღი

20.11.2024 წ

სანოტარო მოქმედების
დასახელება

დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის
ხელმოწერის დამოწმება

ნოტარიუსი

სოფიკო გობეჯიშვილი

სანოტარო ბიუროს მისამართი

თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N 49, კვარტალი I,
კორპუსი 3, ბინა N1

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

2 725310

სანოტარო მოქმედების
ინდივიდუალური ნომერი

51998682341524



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო, თბილისი, 20.11.2024წ.

მე, ნოტარიუსი სოფიკო გობეჯიშვილი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N49 კვარტალი I, კორპ. 3, ბინა 1, ვადასტურებ თარჯიმნის ნინო წოწკოლაურის (დაბ. 19.09.1981წ. პ/ნ 01025008026, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი მირიან მეპის ქ. N 77 ბ. 20, ბაკალავრის დიპლომი B N07786, გაცემული 2002წ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ, სარეგისტრაციო N 01/143) ხელმოწერის სინამდვილეს. მე გაგაფრთხილე თარჯიმანი ნინო წოწკოლაური, რომ ის პასუხს აგებს თარგმანის სიზუსტეზე, რომელმაც დაადასტურა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას და უზრუნველყოფს თარგმანის სიზუსტეს. მე, ნოტარიუსი სოფიკო გობეჯიშვილი ვამოწმებ თარჯიმნის ნინო წოწკოლაურის ხელმოწერის სინამდვილეს და არა დოკუმენტში წარმოდგენილი სამართლებრივი ფაქტების სიზუსტეს ან მის ნამდვილობას. 43 გვ. 1 egz.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 129 ლარი ('სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ' 2011 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის #507-ე დადგენილების მუხლი 31 პ.4-ის თანახმად) და რეგისტრაციის საფასური 5 ლარი (ამავე დადგენილების მუხლი 39 პ.1-ის თანახმად). სულ გადახდილია 134 ლარი.

ნოტარიუსი
Notary

Tbilisi, Georgia, 20.11.2024

I, Notary Sofiko Gobejishvili at my Notary Office, located at the address: apt. 1, block 3, quarter 1, N49 Vazha-Pshavela Ave. Tbilisi, confirm the authenticity of the signature of the translator Nino Tsotskolauri (born on 19.09.1981, registered at the address: Apt.20, Building 77, Mirian Mepe st. Tbilisi, P/N 01025008026, Bachelor's Diploma B N07786, issued on 2002 by Ivane Javakhishvili State University of Tbilisi, registration N 01/143). I have warned the translator Nino Tsotskolauri that she is responsible for the accuracy of the translation and she has confirmed that she possesses the English language properly and provides true and accurate translation. I, Notary Sofiko Gobejishvili confirm the authenticity of the signature of the translator Nino Tsotskolauri and not the correctness of legal facts or validity of the document. 43 p. 1 c.

Notary fee – 129 GEL according to Resolution N507 of the Government of Georgia, Article 31/4 “on applying notary fee” and due to the amount established for the Notary Chamber of Georgia “rules of payment and terms of service” dated 29.12.2011, 5 GEL registration fee according to the article 39/1 of the same Resolution. **Totally paid: 134 GEL.**

/სოფიკო გობეჯიშვილი/
/Sofiko Gobejishvili/

